

ს ვ ა ლ ი



სალიბერატურო და სავაქინიარო ნახაბიანი ზაზაითი. ზაგოდის ყოველ კვირა ღმს.

№ 16.

აბრილი 10, 1894 წ.

№ 16

შინაარსი: — გაზაფხული სილოვანისა. — ჩემი თავგადასავალი ავაციხა. — ქუთათური ამბები. — ჩემი სიყვარული, ღვესი დეკსი მეგრელისა. — კოსტანტინოპოლის ქართველობა ვინმე ქართველისა. — ქართველი ქალი ღვესი ავაციხა. — ღოცვა იესოსი ზალსა გვისამინაშო. — ჯვარცვა იესოსი. — ათი წლის ახგარიში კენის გამსესხებულ შემხნებულ აზნანაგობსა ნ. წერეთლისა. — „მოამბისი“ პუბლიცისტიკა პ. პეტროპისი. — კრიტიკა: ქართველი გლეხის შვილი „ბნელი“ ზომულესა. — ნუ ახბი ნამესხი, ხე-რათი ი. ელფთრისისა. — ყროშა განცხადებანი.

განცხადება

სუცყეისაგან ჭირნახულის საურთიერთო დამშლეველი სამოგადომის გამეგობა, რომელიც დარსებულია 1877 წელს მოსკოუში.

აქნადებს მემამულეთა საყურადღებოთ, რომ ამ თვის გასულს იგი იწყებს თავის მოქმედებას საქართველოში, ესე იგი დასაზღვევით მიიღებს ვენახებს და სხვა კავკასიის მკენარეებს. საკუთრივ ამ საქმეებისთვის გამგეობამ გამოგზავნა საქმეთა მაწარმოებელი ელ. ტარზონსი. (3—3)

გაზაფხული

(გუაფუქსეი პოეზია)



იშ, რა დამტკბარი დილაა! მზე, სიხარულით საცეს, მთების მწვერვალს მოადგა და ღმირით გადმოხედა ხე-ტყეს, მინდორსა და მდინარეს, გადმოხედა—და ყველას გული გაახარა.

სულითა და გულით. გაზაფხულზე ეგ სიყვარული განსაკუთრებით ძლიერია, განუსაზღვრელია. მიზეზი ის არის, რომ აუცილებელ ბედისწერისა გამო მზე დიდხინით მოშორებული იყო თავის სატრფოს—დედამიწასთან; შორეულ ქვეყანაშიაც მიწის სიყვარული მას ჩვეულებრივით გულს უწვავდა, გულს უთუთქავდა, ხოლო სიშორის ჯაფრი სახეს უყინავდა; ამიტომაც საბრალო მზე მთელის ამ ხნის განმავლობაში მარად დაღერემილი იყო და ტირიდა, მწუხარებით მონადენ ცრემლმებს მარგალიტებით აქცევდა და მისებრივ დამწუხრებულ დედამიწის გულზე აფრქვევდა..

გავიდა განშორების დრო, სიყვარულის ცეცხლით აგზნებულმა მზემ შეებელი სძლია და თავი-

მზეს უყვარს მიწა, უყვარს სრული გრძნობით,

სი წადილი შესისრულა, გულის სატრფოს კვალად დაუახლოვდა.

დედამიწამ იგრძნო მზის სიხალცივე: დაიწახა თუარა, გადუმწოლა გული მის მაცოცხლებელ სხივებს, ჩაეტკობა და ჩაიტკობა, ელერსება და იალერსებს... მიწას გული გაუთბა—გაიღიმა, გაიციხა და გაიხარა. სათუთმა იამ თავი ნახათ ამოყო, ყელი ტურფად მოიღერა, დააშვენა ბუჩქის ძირები, გორაკები, ტყეები, თავს აწონებს ბავშვებს: „კარგი ვარ, ნახე, ტურფა, ლამაზია“—და ბავშვებიც, მოწონების ნიშნით, უწყალოდ ჰკრეფენ და გლეჯენ საცოდავს იას... ახი კია მახე: ერთობ კობტაობს, ერთობ თავმოწონდა და ამპარტავანი... ტყემალმაც თავი დაიშვენა: თავლის ფანტელის კაბა შეიკვრა—თერთად აყვავდა; ატამა ლალის თვალები დაიწვინდა ტანზე... ჩიტებმა მოიფინეს ტყე და ველი, ყოველ ხესა და ბუჩქს, ყოველ ტოტსა და ფოთოლს ციური ხმით გახაფხულის მოსელა ახარეს.

სილოვან

ჩემი თავგადასავალი

(მიხაურები)



სვე მამაჩემზე უნდა ვისაუბრო, მიტომ კი არა, რომ ის მამაჩემი იყო, არა, მხოლოდ მიტომ, რომ იმ დროინდელ მებატონეების სახე იყო და სამინურა მბაგალითად მომყავს.—ფოტოგრაფია რუსეთში ახალი შემოღებული იყო. ჩემ ძმას გადაეღო თავისი სახე და გამოგზავნა. უწყება მოგვიყვია; მე გიმნაზიაში მიმეტქარებოდა და დავიბარე შინ: რომ დავბრუნდები, ფოსტიდან გამოვიტანო. მამაჩემს სულმა აღარ მოუთმინა და თითონ თურმე წავიდა ფოსტაში; შევიდა, ნახა, რომ ყურადღება არაფერ მიამკია, მიიხედ-მოიხედა, სკამიკ ვერსად დანიხა, რომ დამჯდარიყო. დავს ფეხზე სხებთან ერთად და ფიქრობს გუნებაში: ეს რას ნიშნავს! სადაც შევიდვარ, ყველგან დაძახანდის მეუბნებიან და სკამს მიდგემენ და ეს კი ვილაყ არის, ბუზათაც არ მგაღებსო. ფოსტიმისტერი ახალი დანიშნული იყო და მამაჩემს არ იცნობდა. მამაჩემმა ერთხანს იცადა და ბოლოს მოთმინება რომ დაჰკარგა, მივიდა და უთხრა:

— კიდევ დიდხანს გინდა, რომ მაცდევინო? მომეცი ჩემი ილიკოს გამოგზავნილი თუ რამე იყოს და გამისტუმრე.

— ილიკო ვინ არის?—ეკითხება გაწყვირებულნი ფოსტიმისტერი.

— ილიკო ვინ არის? ვინ არის და ჩემი შვილია, ხემწიფე იმპერატორის მოსამსახურე—კანფო;

— მე ვერ ვიცნობ.

— ოს, შენ თუ არ იცნობ, მამ ჰური ველარ უკანია! იმ კაცს სასახლეში იცნობენ და შენ აქ, გინდ იცანი და გინდ არა.

— ყოველიფერი კარგი, მაგრამ თითონ თქვენ ეინლა ბძანდებით?

— მე? თავადი როსტომ წერეთელი.

— ვერც თქვენ ვიცნობთ.

— ახლა რომ გეუბნები ვინცა ვარ.

— ეგ არა კმარა.

— მამ, ხატზე ხო არ გინდა, რომ შემოგავიციო?

— ფიცი რა საკიროა, წადით და მოწმობა მოიტანეთ.

— მოწმობა?! რისი მოწმობა?

— მისი, რომ სწორეთ თავადი როსტომ წერეთელი ხარ.

მერე და ვის უნდა გამოვართვა ეგ მოწმობა?

— პოლიციაში, კვარტალს.

აქ მამაჩემმა მეტი შეურაცხყოფა ვეღარ აიტანა და სტაცა კისერში ხელი...

შეურაცხყოფილი ფოსტიმისტერი გაიქცა საჩიველათ პირდაპირ გუბერნატორთან. დაიბარეს მამაჩემი. შევიდა თუ არა ზალაში, მამინევე საყვედურით მიმართა გუბერნატორს: მთელი ხმელეთი ხელში გიჭირათ და კაცებს ვეღარ შოულობთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე, რომ ვილაყ გიყვებს და მასხარებს ნიშნავთ?

— როგორ? რა აშბავი იყო? რა ჩავიდინათო?—ეკითხება გუბერნატორი.

— როგორ თუ რა ჩავიდინათო. დიდმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დამამტყიცა თავად როსტომ წერეთლად, ნიკოლოზმა ხელი მოაწერა ალექსანდრე მეორემ ბეჭდი დაუსვა და ახლა, ეს ვილაყ ოხერია, სამი დიდი ხემწიფის მონიჭებულ წალობას, ისე მართმევს და მხდის, თითქო მავს შეკერილი ჩოხა-ნაბადი იყოს! მეუბნება, რომ მე ყოლიფერი ჩალათაც არ ღირსო, თუ პოლიციაში არ წახვედი და იქ ხელ-ახლა, კვარტალმა, მაქსიმე მგალობლიშვილმა არ დავამტყიცაო.

— მე ყოველიფერი კარგი, მარამ თქვენ რაღა უპასუხეთ?

— საპასუხო რა მქონდა? რისიც ღირსი იყო კიდევაც მივანიჭე.

— მამ, აღიარებ რომ შეურაცხყოფა მივაყენე?

— რას ამბობთ? როგორ თუ შეურაცხყოფა ჩემი საცინათ ავღება, რომ კიდევ ამეტანა, რა ნება

მქონდა, რომ მთავრობის შეურაცხყოფა დამეთმო მაგისტრის?

- ხელი შეახებთ?
- არა. ისე კისერში წაეაულე.
- მეტი არაფერი?

— როგორ არაფერი. გადმოვლენე და სამიოდე ჯოხი ეხუზღე. ერთი—ჩემი გაცივებისთვის და ორიც—მთავრობის შეურაცხყოფისთვის. —ამას ისეთი გულ-მისულობით ამბობდა, რომ ევრც თითონ გუბერნატორმა და ევრც მისმა ჩინოვნიკებმა სიცილი ვეღარ მოიკავეს. ბოლოს, როდესაც აუხსნეს მამაჩემს მისი შეცდომა, შეწუხდა, მიუბრუნდა იქვე მდგარ ფოსტიმენტარს და უთხრა: „შე, სულო კაცო, მე რა ეციე ახალი რიგისა და წესებისა? რომ მწახე, შემოვედი ერთი უსწავლელი, ადამის ხნის კაფი, ავეხსნა ჩემთვის რასაც ახალი კანონები გუბერნიან, თვარა: მე შემოვლევარ ზრდილობიანთა, შეე კი ისე მიბღვერ, თითქოს შენი მოსისხლე მტერი ყოფილიყო. სხვა რომ არა იყოს რა, ყმაწვილი ხარ, ჩემი ჭარბისთვის მაინც უნდა გეკა პატივიო“. ეს საქმე, ბოდიშითა და მორიგებით გათავდა. შემდეგ დიდი მეგობრობით იყვენ მამაჩემი და ის მისი მონად თოვლი ჩინოვიკი. ყოველ დღესასწაულებების წინ, საშობაო, საახალწლოთ, საღვთობით, დიდ მოსაკითხებს, როგორც მეგობარს, უგზავნიდა ხოლმე მამაჩემი და ისიც დიდი მადლიერი იყო: მოუვიდოდა ხოლმე თუ არა მამაჩემს მისი შეიღების წიგნები რუსეთიდან, თითონ პოსტიმენტარი მოაზრებინებდა ხოლმე მამაჩემთან და აღარც კითხულობდა: „ქტო ტკიაი როსტკი წერეთელიო?“

კულბიაკინი ჰკუიანი და კეთილი კაცი იყო და ხალხსაც ძალიან უყვარდა, მაგრამ ერთი წუთი ჰქონდა: უხბად რალაცა მოუვლდა და ავეირდებოდა ხოლმე, მაშინ მის მრისხანებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ამ გუბერნატორს, ჩვეულებათა ჰქონდა, რომ სადმე წაეიდოდა სოფლად, სეიტას იახლებდა და წინ ბაიარას გაიძლიებდა. ერთხელ სახსერეშიც ამ გვარად მივიდა. თითქმის მთელი საწერეთლო, დიდი და პატარა, თავად-აზნაურებთაგანი, შუა გზაზე მიეგება და თან წამოყვება. კულბიაკინმა თავ-მოამწონეთ თავის ბედაური შეათამაშა. ცხენს რალაცა წასცადა. ერთმა ახალგაზდათაგანმა თ. ა. მ. სიცილი აიტყნა. გუბერნატორმა შეწყვიტა თავისებურათ: ახალგაზდა უადგილო მხიარულებისთვის გაქაჩეს და სატუსალოში ქუთაისისაკენ უპირებდენ გაგზავნას. ეს ყველას ეწვირა, მაგრამ კონრტი ევრაინ დასძრა, თავ-ჩაღუნული მიყვებოდენ დიდხანს. ბოლოს შენიშნეს შორს, რომ ერთი დონის ყაზახი რუსი მოადლოდა ცხენით. მამაჩემი დაწინაურდა და რო დაუახლოვდა ყაზახ რუსს, ჩამოხტა ცხენიდან და მიძიმეთ

თავიანი სცა. ეს სუყველამ დაინახა. კულბიაკინმა წაარბი შეიკრა და გამოიკითხა: თუ რათ ჩაიღინა როსტომმა მაგისტრთან უსაქციელობაო. მამაჩემმა უპასუხა: რუსი გახლდით და პატივი არ მეცაო?

— კი მაგრამ, თავადშეიღოს როგორ გეკადრება დონის ყაზახის წინ თავის მიზნაო. განა ევრ შეატყმა, რომ უბრალო ვინმე იყოო?

— როგორ არაო. მაგრამ შეიძლება ერთი ათი წლის იკით, დიდი კაცი გახდეს და მეც მომადლოერებული მიყვალება, ხომ მოგეხსენებათ წინ წაძლილი საქმე, ხანდახან კაცს კეთილათ გამოადგებაო. კულბიაკინი დაფიქრდა, გაიკინა და ბძანა, რომ სატუსალოში გასაგზავნი უკანვე დაებრუნებინათ.

მამაჩემი, თავის დროზე განთქმული მოკვლარაკე იყო, ევრაინ უღებდა. ვანსკუთრებით ღენწილრის შტაბის აფიცრები იყვენ მონდომებული, რომ როგორმე მოეგოთ, მაგრამ ევრას აწყობდენ. ერთხელ ღენწილ-გუბერნატორს გ. ერისთავს შემოეთვალა: თბილისიდან ერთი შესანიშნავი მოკვლარაკე პოლკოვნიკი გეწოდ, შენთან თამაში ჰქურს და თუ დრო გაქვს, მოვიდ, ჩემთან არისო. აბა, შენ იცი, თუ შენიეზურათ ვგასახელებ ქართველებსო. მამაჩემიც წაეიდა და გაიმართა თამაშობა. პოლკოვნიკმა დაინახა, რომ მიპირდაპირე ახირებულთ ეთამაშებოდა და ჰკითხა: თქვენ, როგორც პირველსავე გამოსვლახე გეტყობათ, თეორია არ უნდა იცოდეთო. კუთხის პაიკი, რა ხელმოსაკიდებელი იყოო.

- თეორია რა არის?—ეკითხება მამაჩემი.
- სხვა-და-სხვა სათამაშო კანონები.
- ჩვენ, ქართველებმა ერთი კანონის მეტი არ ეციოთ: ისე უნდა ეთამაშო, რომ მოპირდაპირეს მოუგო.

— ვე მართალია, მაგრამ უთეორიოთ არ შეიძლება.

- არ ამიხსნით მაინც, რა არის თეორია?
- სხვა-და-სხვა გამაჩინილი მოკვლარაკების ნათამაშეი, რომელიც სხეებისთვის საშავალითო კანონად დარჩენილა.

— ჰო, ისეც კარგი დაგვიჩარია. ისინიც ხომ ჩემისთანა მიწრელები იქნებოდენ, თოდან ხომ ევრ ჩამოაფრინდებოდენ. ახლა ჩემ თამაშსაც უღვე ყური და თუ მოგეწონოთ, ჩაწერეთ და თეორია იქნებაო.

პოლკოვნიკმა დაიწყო თამაში და არ გაუელია დიდხანს, რომ კიდევ წავგო, შეწუხდა და თქვა: „ამიბკაო“. ითამაშეს მეორე, კიდევ წავგო და თქვა: „ამიბკაო“, მესამე, მეოთხე, მეხუთე... გაცხარებული პოლკოვნიკი ავეხს და თან იძახის „ამიბკა, ამიბკაო“. მამაჩემს გაეკინა და უთხრა: პოლკოვნიკო! ტყუულად ნუ ფიქრობ, რომ მოიგო, სანამ ევ ვიღაც „ამიბკა“ გადაეკიდება, მაგას თავიდან არ მოიშორებო. ეს

ხუმრობა მის შიშობადობის ეწეოდა. შეტრატყუვად მიიღო და ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო. მამაჩემმა დამშვიდებით უპასუხა: ნარდი, ჭადრაკი და სხვა ამ გვარი სათამაშოები, სასიამოვნოდ და დროს გასატარებლად წავამოგონა ჩვენ შიო. ხუმრობაც შეშენის და მეტ ჩემი ქვეყნის ჩვეულებებზე ვაღვიგარო და თქვენში თუ საწყენი და გასაჯავრებელი ყოფილა, ჩემთან რა გინდა, ისევ თქვენებთან გეთამაშნაო. გაჯავრებულმა დაავლო ქუსლს ხელი და გამოვარდა გარეთ. აი, ამისთანა ხასიათის კაცი, რომელიც გარეთა, სხვაგანაც არ იზლიდა თავის ახირებულობას, რა უნდა ყოფილიყო მინაურობაში, სადაც დამოუყიდებელი ბატონი იყო? მართლაც ბერის ახირებულებას ჩაღიდა და ხელს უშლიდა დედნიემის, ყოველთვის წინდაწინ მოაფიქრებულ და გონიერულ განკარგულებას.

მასობეს, ერთი გლეხი გადავიშენდა და ოჯახში, აღარაინი დარჩენილა, გარდა ერთი ოთხმოცდაათის წლის მოხუცისა, რომელსაც აღარც მამულის მოვლა შეეძლო და აღარც თავის საკუთარი თავის რჩენა. რომ საგლებო ადგილ-მამული არ გამცდარიყო, მამაჩემმა მოინდომა იმ ბერიკაცის სასახლეში გამოეყენა. მოხუცმა, რასაკვირველია, შორს დაიპირა თავის სახლ-კარის თავის დანებება; იმას უნდოდა, რომ მის საცობელში, არ ენახა მის ქონში გამქრალი ცეცხლი, იქვე მომკვდარიყო, სადაც მისიანები ცხოვრებდნენ და ბოლოს იმითვე საფლავს ამოწოლიდა გვერდით. ნებით რა ევლარ დაიყოლიეს, ბატონმა ბაძან, რომ ძალით გამოეყენათ და კიდევ გაუზანა კაცები. ეს ამბავი არაის არ მოსწონდა სახლემში: მოსამსახურებში, ბიჭები, გვგობები, ყველანი ჩურჩულდნენ: ნამსახური კაცა, თავის სახლიდან რა გასაგდებიაო? ნაერთგულარს და ნამსახურს კაცი ძალსაც არ გაიმეტებო. ამას მოეკარი მე ყური და ვაფიქვე მამაჩემთან. ის ნიგოზ ქვემ ჩერაში იყო მხართეძობზე წამოწოლილი, მივედი და ვკითხვ: მამა ბატონო, ჩენი მურა რა დაბერდეს აღარაფერი არ შეეძლოს, აღარც ყფვა, აღარც ღრენა, მაშინ რაღა უყოთა-მეთქი?

— რაში გკითხვბა, შეილო? თუ მანგრე დაბერდება, მჭადს აჭმევენ და იქნება თავისთვის, სანამ არ მოკვდებოა.

— მაშ, თუ მანგრეა, კაცი უკეთესი არ არის ძალზე-მეთქი. ბერიკაცს რომ თავის სახლ-კარს აშორებ და გამოეყავს, ის კი არ გეცოდება-მეთქი. — ამ სიტყვებმა ისე დააფიქრეს მამაჩემი, რომ ხელახალი განკარგულება მოახდინა: თავი დაანებეთ იმ ბერიკაცს, დაჩრეს თავის სახლში და საზრდოც მიუჩინეთა. მასუკან ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩემი

დაუფიქრებლობით კინაღამ ცოდვაში ჩავარდო, მაგრამ ანგელოზმა მამხილა ბავშვის პირით, ენაც-ვალე იმის ძლიერებასა.

ხშირად მამაჩემს სახარების კითხვა უყევარდა, მაგრამ იმ კილოთი რა კილოთითაც წირვებზე კითხულობდნ ხოლმე და ისე გაიტაცებდა ხოლმე კითხვა, რომ საჩარებაში გამოატულ პირებს ემუსაღებოდა. ძაგალითად: „ჰი, შენს მადლს“, „ენაცვალე შენს სახელს“, „იცის ბიჭმა“ და სხვანი და სხვანი... ამგვარ სიტყვებს ჩაურთავდა ხოლმე, მოსაწონ აზის მოიწონებდა და საგმობელს გმობდა ხოლმე. ერთხელ, სახარების კითხვის დროს, როდესაც მივიდა იმ ადგილამდინ, სადაც ფარისეველები შეცდნას უპირებდნენ ქრისტეს და ქრისტეც უბძანებდა მათ: „კიცილი კვისსისა კვისსარსა და ლეთისა ლმერთსაო“, მამაჩემმა ჩვეულებრივად წამოიძახა: დავესხათ თავსლაფი, ეინ გინდრადთ რომ მოგეტყუებინათო? ჰოი, ახლა ნეტავი თქვენი თავი მომცა ხელში, ევ წევრები რომ სულ ღერ-ღერა დავაგლოჯოთო. ამ სიტყვებს დედაჩემმა მოჰკრა ყური. გამოვიდა მეორე ოთახიდან და ჰკითხა: ბატონო, ეის უჯავრდებთ მაგრე გულოთო? — ეისა და ამ შეჩვენებულ ფარისეველებსაო—გულმო-სულად უპასუხა მამაჩემმა.

— შე, დალოკვილო, მე სიშორეს რა არ წავებოტინო, მიუგო დედაჩემმა—შინ რომ საკუთარი ფარისეველი გყავს, რატომ იძას კი არაფერს ეუბნებიო? შენმა მოურავმა, მთელი ოჯახი აურ-დაურია, მაგის თავ-გასულობას სახლვარი აღრა აქვს. რამეწენი ხანია გებეწეწები, რომ ამ ოჯახს ევ როგორმე მიაშორო, მაგრამ ის ფარისეველობით თვალებს გიხვევს და ჩემი აღრა გვეტარაო. ამის თქმა და მამაჩემის ზნეზე წამოვარდნა ერთი იყო, მომგვარეთ მოურავიო—დაიყურა. მოიყვანეს ნამძინარევი მოურავი მაგრამ სანამდი ის რასმე იტყოდა, მიძახა ბატონმა ბიჭებს: „მე ფარისეველი სახლში აღარ მინდა, დააყოლებთ ევ შეჩვენებული თავ-დაღმართზე და მიყოლებთ პანლური, რომ სასახლისკენ პირი აღრა ქნალო!“

ეს მოურავი, მართლა სამაგელი რამე იყო, მაგრამ მამაჩემი მიინც არ ელეოდა და დედაჩემმა, რომ იცოდა მამიჩემის ხასიათი, სახარების კითხვაში შეუტრია ღრო და ძლიეს ვადაარჩინა ოჯახი იმ ცუდის მოურავისაგან.

ამით ვათავებ მამაჩემზე საუბარს, თუმცა ბერიკამ შეეძლო, რომ კიდევ მეთქვა.

აიყო (შეზღვეო იქნება)

ქუთათური ამბები



უსთაისი ამ ბოლოს დროს სანახეად სწორედ სასამაოენოა. ქუჩები შეკეთდა, სავაჭრო მოედნები დაარსდა, ბუღვარი გაკაწივდა, შიგ ძველი დამალი ხეები, რაც იყო, მოჭრეს და მით მაგიერად, სხვა-და-სხვა ბაღის ყვავილების და თბილი ქვეყნების მცენარეულობას აშენებენ. მიუცილებლად ქუჩების დაკეთება და რუების გაყენა ქუთაისის ჰავას უფრო გააშრობს, გაატანმთელებს, ეჭვი არ არის, ციგბ-ცხელბაც ამიერიდან უნდა შემცირდეს და ვადმდებმა ავათ-მყოფობამ იკლოს.

* *

ქუთაისის გარეგან გოლაშვებას მოჰყვა მისი შემოსავლის გადიდებაც. რაკი სავაჭრო მოედნები დაარსდა, ამასთანავე სოფლიდან შემოსულს სავაჭრო საქონელს, შემას, თივას და ხორაგეულობას ხარჯი დაადგეს ქალაქის სასარგებლოდ. ამიერიდან გადაწყვეტილია, რომ მოედნებზე იყოს ვაჭრობა და არა ქუჩებზე, სადაც აქამომდე ამის გამო დიდი უსუფთაობა არსებობდა. ხშირად ქუთაისის საუკეთესო ქუჩებზე, მაგალითად პოლიციის მახლობლად, ბაზრის ქუჩაზე და ბულვართან თქვენ ნახავდით მკედლარს კატებს, თავებს, ლაყე დაწიფულ კვერცხებს, დამპალ ხილს, ღორების საბუნავს, მუდამ ქენჭუბ ადგილებს, გაცეხულს პირუტყვ-საქონლის გავაღი ით ამის გამო სიციხის დროს აქ ისეთი სუნი დებობდა, რომ ვაცს არ შეეძლო გავლა საყანრთეს მახლობლად. კვირა-პარასკევობით ამ ქუჩებზე იმდენი ხალხი იკრიბებოდა, რომ ვერც ეტლები, ვერც ცხენოსანი კაცი, ვერც ძვეთი აქ ვერ გაატანდა. უწინდელი ქალაქის თავი და პოლიცია ისე შეჩვეული იყვენ ასეთ უწესოებას, რომ თუ აქ რაზე გაუშჯობესობა მოხდებოდა, არ ეგონათ. მადლობა ღმერთს, დღეს ქუთაისის ახალი ქალაქის თავიც გამოუჩნდა და ახალი პოლიციმესტერიცა, რომელნიც რაც შეუძლიათ დიდ ყურადღებას აქცევენ, რომ ქუჩებზე და ქვეყნილობე ვაჭრობა აღარ იყოს, მხოლოდ გამართულ სავაჭრო მოედნებზე და საყანრთობებზე ივაჭრონ, სხვაგან კი არა. ეს ახალი განკარგულება ქალაქის მოვაჭრეებს, როგორც ეტუობა, არაფრად ეგონათ, რადგან ძველად ჩვეულნი ყოფილან ქალაქის თავისაგან და პოლიციისაგან თავსაზიანობასა. შუა ბაზრის ვაჭრები ისე განებერებულნი იყვენ უწინ, რომ ფეხის გადადმასაც უკადრისობდენ; სოფლის მოვაჭრე ხალხს იქვე მათ კარებზე და თითქმის მათ დუქნის კარებთანაც უნდა მიერთმიათ ვასაყიდი ხორაგეულობა. ახლა, როდესაც ახალმა ქალაქის თავმა და ახალმა პოლიციმესტერმა გამოაცხადეს, რომ

ამიერიდან ბაზრობა უკვე გამართულ მოედნებზე მოხდესო და მიყიდვლნი და გამყიდვლნი იმ მოედანზე უნდა მივიდნენ სავაჭროდა, ამას მოითხოვსო ქალაქის ჯანმთელმა და ქუჩების სუფთად შენახვავა, უსუფთაობის მომხრე ვაჭრებმა ძლიერ იტყუეს ეს აშავეი.

* *

შემოსენებულ ქეთილი-განზრახულების ასარულებლად ქუთაისის ქალაქის საბჭომ 25 თებერვალს დაადგინა განჩინება, რომ ახალ გამართულ მოედნებზე ამიერიდან ვაჭრობა და ბაზრობა გამართულიყო სოფლიდან შემოტანილ ვასასყიდ საქონლისა და ხორაგეულობისა. ეს განჩინება კიდევ დამტკიცა ქუთაისის გუბერნიის რჩევამ (პრისუტსტეიამ). ამას შემდეგ გაიართა ახალ-მოედნებზე და საყანრთობებზე ვაჭრობა. რაც მარტუ პარასკევს დღეს სხვათა შორის ახალ გამართულ ბაღის ქუჩის მოედანზე კარგი ვაჭრობა იყო; მიყიდვლნი და გამყიდვლნიც დიდალი მოგროვდენ. ამ დროს უეტრათ მორიხინდენ ეტლებით ქუთაისის ქალაქის ხმოსნები ბ.ბ. მ. ქ.—ძე, ებრაელი ელოა კ.—ლი და რადენიმე მათი აყილი პირები, შექქეს ერთი ყვირალი, დაუწყეს სოფლის ხალხს ლანძღვა-გინება: როგორ თუ თქვენ აქ ვაჭრობთო, ახლავ აიღეთ თქვენი სავაჭროები და ისევ გალმა გამოტანეთ, ქუჩებზე და ჩვენ კარებზე ივაჭრეთო. ისინი იმდენად გავადნიერდენ, რომ სავაჭროებიც გადუყარ-გადმოუყარეს, სოფლის ხალხი დაფთვეს და გალმა ბაზრის ქუჩებზე გარქეს. საკვირველი ეს არის, სად იყო ამ დროს პოლიცია, რომ ამ საზოგადო უწესოებას ყურადღება არ მიაკცია. ნუთუ იმათ არამკითხვე რვეზორების მოერიდით და ევლარა ჰკადრეს? მაგრე ვინ ჩაიღწია ასეთი უსამართლო საქმე? პატივცემულმა ხმოსნებმა, რომელთა მოვალეობა ყველაზე უწინარეს ის უნდა იყოს, რომ წესიერება დაიცვენ და ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებას პატივი სცენ. ვანსაკუთრებით შესანიშნავია ამ შემთვევაში ებრაელის ხმოსნის ელოა კ.—შვილის კადნიერება. ალბათ იმას უფიქრია, რაკი ტურემნი კამიტტის დირექტრობმა მომანიქეს და თან ხმალიც დამკიდეს, მაშ კონონი და ბძანებაც ჩემ ხელიც უნდა იყოსო. რაც მწებავს იმას ვიხამო. ძალიან კარგი იქნება, რომ პოლიცია და ადგილობრავი მთავრობა ამისთანა თავვასულს არამკითხვე ებრაელს რვეზორის ყურადღებას მიაკცევდეს და რომ შემდგეც საზოგადო წესი არ დაარღვიოს და სოფლის მოვაჭრე ხალხს შეურაცხყოფა არ მიაციენოს ხოლმე, ტურემნი დირექტროის მუწლიც გახლიდენ მაინც და მასთან ვაჭრობიგულ ხმალაც ჩამოსწინდენ სახალხო ანდნისამებრ: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“.

ჩემი სიყვარული



ო, მეც მიყვარს,
 მაგრამ სხვისას
 არ ჰგავს ესე სიყვარული;
 სულ სხვა გვარის
 გრძნობით არის
 ჩემი გული გამსჭვალული!

ის როდი მსურს,
 რომ ჩემს მიჯნურს
 მე ვახსოვდე ერთად ერთი,
 ცერბად მთელიდღეს,
 დაავიწყდეს
 ძირს ქვეყანა, მაღლა ღმერთი;
 —
 მაშ რა მინდა?
 აზრი წმინდა,

მიზანი რომ გვექონდეს ერთი,
 რომ ერთ საგანს
 ესტუმდეთ თავყვანს..
 იყოს ჩვენი შემავრთი.

—
 მე მას ესურვი,
 სამსახური
 მხოლოდ მისი ჩვენს სულს და გულს
 აღურთოვნებდეს!..
 ამტკიცებდეს
 საუკუნოდ ჩვენ სიყვარულს.

—
 ჰო, მეც მიყვარს,
 მაგრამ სხვისას
 არ ჰგავს ესე სიყვარული;
 სულ სხვა გვარის
 გრძნობით არის
 ჩემი გული გამსჭვალული.

ლ. ტა შვგერელი

კოსტანტინოპოლის ქართველობა

მიგონე შენიშვნება.



ომეტებელი ნაწილი აქაური ქართველებისა ძლიერ ღარიბია და ზნეობით დაცემული. ქართული ენა ბევრს მათგანს აღარც კი გავგებთ, ლაპარაკსაც რიგიანად ვერ ახერხებენ. ძალიან სასარგებლო იქნებოდა აქაურ ქართველების გამოსაუზიზებლად, რომ ამით ღონისძიება ჰქონდეთ ქართულ-ჭურნალ-გაზეთების კითხვისა. ბევრიც აღმოჩნდება მსურველი ქართული ჟურნალ-გაზეთების დაბარებისა, რომ ისინი კოსტანტინოპოლშიაც იმ ფასად მოადიოდნენ, როგორც საქართველოში. ამ შემთხვევაში დიდი მადლობის ღირსია ჩვენ უცხოეთში მყოფ ქართველების მხრით „ეკალის“ რედაქცია, რომელიც ფასს არ უმატებს საზღვარ გარეთელ ქართველებისათვის. კარგი იქნება, რომ სხვა ქართულ რედაქციებმა მივახიან „ეკალის“ მაგალითს.

მას მერმე, რაც ღირს-პატივცემული მამა პეტრე ხარიჭაშვილი გადაიტყალა, აქაური ქართველობა სულ უკან და უკან მიდის; ქართული ხომ რაღა, თითქმის სულ დაივიწყეს. მოგვსენებთ, რომ მამა პეტრე ხარიჭაშვილმა დიდი მოღვაწეობა გამოიჩინა თავის სიცოცხლეში. ამან დაარსა კოსტანტინოპოლში და მონთაზანში ქართული სტამბები, ბევრი ქართული წიგნებიც დაბეჭდა; მხოლოდ რაღა ის გადაიტყალა, მასთან ვაჰქრა მისი აზრი და მი-

მართულემა. ქართული სტამბები აქაც დაიხურა და მონთაზანშიაც. ქართული წერა-კითხვა აქაურ ქართველებში დღითიდღე ვიწყებდა და აღარც კი არავინ იტყვს თავს ამაზე. დღეს ერთი-ღა ბერი დაგვრჩენია, იასე რაჭველი, რომელიც გამსჭვალულია მამა პეტრეს აზრებით; მაგრამ ერთი რას იზამს, როცა სხვა ბერები ხელს აღარ უწყობენ ქართველობის საქმეს. ამას წინადა იასე-რაჭველმა ცოტაოდენი ფულიც შეგაროვა და გამოგზავნა შოთა რუსთველის ძეგლისათვის; ახლა კიდევ ერთი ხელის მომწერიც სხვა გამოჩნდა „ეკალის“ გაზეთზე, რადგან იაფია. აქედან უნდა ვივულისხმეთ, რომ ჯერ სრულად არ აღმოუზნებია აქაურ ქართველებში საქართველოს სიყვარული და, ვგონებ, დიდი შრომაც არ დასჭირდება, რომ ხელ-აღლად აღორძინდეს ამით ზნეობრივი მხარე.

სხვა უბედურებებს გარდა ერთი ძლიერ სასაცილო და თან სამწუხარო ჩვეულებაც დამყარდა აქაურ ქართველებში. კაცები ჯერ კიდევ მიმდევარნი და მოყვარულნი არიან გვარისა. ყოველ დღესასწაულს ასრულებენ ჩვენთან ერთად ძველი სტილით, როგორც თქვენ საქართველოში მართლმადიდებელთ სრევით. მხოლოდ დედათა სქესი გადადგომია ამ წესს და შემოაუღია ახალი სტილით დღესასწაულობა.

აქაური ქართველობა—მე და ა. გარაყანიძის მეტი—ყველანი კათოლიკის რჯულის აღიარებენ, რაკი ჩვენსა და მათ შორის თორმეტი დღე განსხვავებულია.

ბაა, დღესასწაულებიც თორმეტი დღით წინ მიდიან. ამ სახით ქალები თორმეტი დღით ადრე დღესასწაულობენ კაცებზე, თუნდ მაგალითად მომავალი აღდგომის დღესასწაული ავიღოთ. მიხვალ ოჯახში სტუმრათ და წარმოგიდგებათ სამწუხარო სურათი: ქალები გამოკეწილულან, წითელი კერძები ხელში დაუჭერიათ, არიან ერთმანეთის მილოცვაში, ქრისტე აღდგას ძახილში და მზიარულებაში. კაცებს კი ამ დროს მგლოვიარე სახე აქვთ, მოწყენილნი არიან და მარხულობენ. აბა, რა სასიამოვნოა ასეთი მოვლენა: ქალები კაცებს გაყოფიან დღესასწაულობაში.

ბარე ათი-თორმეტი ქართველი ყმაწვილი სწავლობს აქ იეზუიტების სკოლაში ლათინურს ენაზე. ვიდრე ისინი ჯერ ყმაწვილები არიან, კიდევ შეატყობთ, რომ ქართველები არიან; მაგრამ შემდეგ, როცა წვერულავის პარსკას შეუდგებიან და მიხერა-მოხერასა და ტანთ-საცმელს იეზუიტებურად დააწყებენ, მაშინ კი ისინი სულ გადაგვარდებიან. იმათ ქართული ავიწყდებათ და ჰბდებიან იეზუიტის პატრები და ფრელები.

გინჷ ქართველი

ქართველი ქალი

(გუძღვნი გრ. დასამიქს)



ინ სთქვა: ქართველს ქალს შეწება მალღით არ მოჰმადლებია?"

არც ერთი ნიჭი ბუნების რჩეულსა არ დაკლებია!..

თეით სარკე ხელოვნებისა, შემკული გარეგნობითა; გონების ნერგი მალღლი აყვავებული გრწნობითა.

თელსა სჭრის და გულს იტაცებს ანდამატური ძალითა და ჰბობლავს ყოველს არსებას, გარს შემონაშუქ ალითა!

ბნელში მნათობი; ნათელში მოთინათინე ქმნილება.

ესისხლ-ხორცება სიცოცხლეს სხვისას და ენაწილებსა!..

მაგრამ!.. რა მაგრამ? მე მაინც ჯერ მას ვერა ესცემ თაყვანსა!.. ზარს* ვერ ფუმღერებ მის სუბოს და ნანას* მისსა აკვენსა!..

მიტომ რომ მისსა შეწებას აკლია გვირგვინ-ბეჭედი, აწმუაში სულის ჩამდგმელი და მომავალში იმედი.

ეს არის ნერგი ოცნების ღრმად გულში ჩამარხულისა; სახის აღმგზნები ბეჭედი სამშობლოს სიყვარულისა.

ლოცვა იესოსი ბაღსა გეთსამანიაში



არისეველთა და მწიგნობართა მოახსენეს ყოველივე მოხდენილი პასექის დღესასწაულზე ებრაელთა მღვდელთ-მთაგრებს; იმათ იჩილეს, რომ იესო ქრისტემ ერის წინაშე შეგვირისხა და შეგვარცხინიაო, გვიწოდა ავაზაკებო. მღვდელ-მთაგრებმა ანხამ და კიათამ გადაწყვიტეს შეპყრობა იესოსი და მოკვლა. მაშინვე იერუსალიმში გაეარდა ხმა, რომ იესოს ეძებნო. რადგან იმას სახით ვერ იცნობდენ, უნდოდათ ისეთი კაცი ეშოენათ, რომ იესოს დაახლოებული მეგობარი ყოფილიყო. ამდროს მღვდელ-მთაგრებთან მივიდა იუდა ისკარიოტელი, რომელიც იყო მოწაფე იესოსი და მოახსენა მათ: მე ვიცი რომ იესო ნაზარეტელს, მე ვიყავ მოწაფე მისი, მაგრამ აწ აღარა ვარო, რადგან მოძღვრება მისი ებრაელებს უბედურების მეტს არას შესძენსო. იგი თანასწორად უქადაგებს ყველას სასუფეველსაო, გინდა ებრაელი იყოს, გინდა წარმართი. მას არა სწამს იერუსალიმის სიწმინდე და უწინასწარმეტყველებს სიონის ტაძრის დარღვევას და ქვა-ქვაზე არ დარჩენასო. ამისგანო მე შევიქეცი მისი მტერიო. გამატყენე ჯარი და მე ჩაგვადებ მას ხელშიო. მღვდელ-მთაგრებს ძალიან იამთ ეს ამბავი და მისცეს მას საჩუქრად ოცდაათი ვერცხლი; მაგრამ იუდას არ უსარგებლნია ამ ფულით.

იესო ქრისტემ წინდაწინ იცოდა, რომ იუდა ისკარიოტელი გაცემდა მას, რადგან ატყობდა, რომ მას არ მოსწონდა იესოს საქციელი. იესოს გარჩევა არ ჰქონდა ებრაელებსა და არა-ებრაელებს შორის, ურჩევდა მოციქულებს ებრაელებს ვარეშე ქვეყნებშიც მომიმოწაფეთ ხალხიო.

იესო თავის მოწაფეებში გამოვიდა იერუსალიმიდან და დადგა ზეთის ხილის მთის მახლობლად, საღამოს ხანი იყო. იქ ერთი ღარიბის კაცის ბაღში

აეყ

მოწაფეებმა მოუშაღეს იესოს სერობის პური და მოციქულები შეწუხდნენ და დაუწყეს ერთმანეთს კი-
დასხდნენ ერთად საჭმელად. იუდა ისკარიოტელიც თბვა, ნეტავი ვინ უნდა იყოსო? იუდა ისკარიოტელს




ღოცვა იესოსი ზღსა გეთსახნაში

მათთან იყო, როცა შეგობრულოდ პური გასტეხეს, არ ჰქონდა გული წმინდათ, ადგა და გაქრა ლამის
იესომ თქვა: „ერთი თქვენგანი გამცემსო“. ყველა სიბნელეში შემდეგის სიტყვების ბუტბუტით: „ნენ“

ვართ ღვთის მიერ არჩეული ხალხი. წარმართებთან და სამართლებთან წყლის სმაც დაშლილი გვაქვს, შენ კი იმითან მოყვრობა გინდა და ჰქადაგებ: ებრაელნი და სამართელნი ღვთის წინაშე თანაწორნი არიანო, შენ ებრაელების გაწარმართება გსურს. მიეული ქვეყნის გადაგვარებას ერთი კაცი მოკედეს, ის არ სჯობიაო? წაეღო ახლავე, კიაფა მღვდელმთავართან დაეაბეზლებ და იესოს დაიჭერნო“. ამ სერობას შემდეგ მოციქულები წაიღო-წამოვიდნენ. იესო ქრისტემ წაიყვანა თან პეტრე, იაკობ და იოანე, მივიდა გეთსამანიის სოფელში და იქ ერთ ხევში, კლდიან ადგილებში, შეენიერი ნაძენარი იღვა. იესო ქრისტეს ხშირად ჰქონდა ჩვეულება აქ ლოცვისა. მოციქულებს უთხრა, თქვენ აქ მოიცადეთ და მე წაველო სალოცავი: „მწუხარე არს სული ჩემი, ვიდ-

რე სიკვდილამდე“. შემდეგ მოცილდა კარკა შორს მოციქულებს, შევიდა ნაძენარში, მოიყარა მუხლი, დაიღვა წინ სამსხვერპლო ბარძიმი, რომელშიც მომზადებული იყო სასაქეო სასმელი; იგი ნიშნავდა მსხვერპლის შეწირვას ღვთისადმი. იესომ წარმოსთქვა მწუხარებით: „ღმერთო მამაო, ამაშორე მე სამსელი ესე, არამედ არა რა იგი მე მშენავს“.

იესო ქრისტე გრძნობდა, რომ იულა ისკარიოტელი მალე უნდა დაბრუნებულიყო იმის საძებნელად დარაჯებით იმ განზრახვით, რომ შეეყრათ იგი. როგორც კაცს, მას ემშინოდა ტანჯვისა და შესთხოვდა მამა-ღმერთს, რომ აეშორებინა ეს განსაცდელი. აი, ამ სურათზე ცოცხლათ არის ეს წამი გამოყვანილი.



ჯვარცმა იესოსი



ეთსამანიის ხევში იესო გაშორდა თავის მოწაფეებს და დაუბარა: „ილოცეთ, იქნება ღმერთმა განსაცდელი თავიდან აგვაცილოს; საცა არის, ჩვენ დასაჭერთ გამოგზავნიან შეიარაღებულს ჯარსო. მაგრამ მოწაფეებს მაინც ძილი მოეცილათ. იესო რომ ლოცვიდა დაბრუნდა, მოწაფეები დაძინებული დახვდა და 'გააღვიძა შემდეგი სიტყვებით: რად ხართ ეგრეთ სულმოკლენი, რად დაგვიძინათ? ხომ იცით, განსაცდელი მიგველის, რატომ ღმერთს არ ევედრებით, რომ დაგვიხსნასო.“

ამდროს გამოჩნდნენ ჯარის კაცები ანთებული სანთლებით და ლაშქრებით. მათ წინ მოუძღვრა იულა ისკარიოტელი, რომელიც მოვიდა თუ არა, მიეგება იესოს მოწაფებით, როგორც მისი მოწაფე, უწოდა რაბბი და აკოცა. ჯარის კაცები მიხედნენ, სწორეთ ეს უნდა იყოს იესო ნაზარეტელი და შეიპყრეს იგი. მოციქულები შეშინდნენ და გადაციინდნენ. იესომ უთხრა ჯარის კაცებს: „რა საუბრო იყო ჩემზე იარაღით და შუბებით გამოლაშქრება? თქვენთან არ ვიყავიო ყოველ დღე? თუ ტაძარში ვიქადაგებდით, თუ მთაზე და ცქლად; ჩემი დაჭერა თუ გინდოდათ, აქამდის სად იყავითო?“

გეთსამანიის ბაღიდან იესო ბაწრით შეკრული მიიყვანეს ანა მღვდელმთავართან, სადაც დაესწრო მისი სიმე კიაფა მღვდელმთავართა. ბერი ბრალი დასდევს იესოს, მაგრამ დამტკიცებით კი ევერა დაუმტკიცეს რა მთავრობისა და სჯულის საწინააღმდეგო უნდრადთ მოწმები ეშოვნათ, რომ პირში წაღმოაღონ იესოს, მაგრამ არაფერ გამოჩნდა. ბოლოს

მღვდელმთავარმა კიაფამ ჰკითხა: „შენა ხარ მეფე ურიათაო?“ იესო ქრისტემ მიუგო: „დაიღა, მოეადრო, როცა ძე კაცისა დაჯდება მარჯვნით ძლიერებითა და ხალხი იხილავს იმას ღრუბლებზე მომავალსო“.

კიაფამ ეს პასუხი მიიღო ღვთის გმობად, რადგან იფიქრა, იესო სწორედ თავის თავს უწოდებს ღმერთად, რომელიც ღრუბლებზე მჯდომარე გვეჩვენება ხოლმე კაცთა ნათესავსო. ის მეტად გაწყრა, დაიხია ტანისამოსი, იტარა და საშინლად აღძრა იქ მყოფი ხალხი იესოს წინააღმდეგ. იესო მაშინვე გამოიყვანეს ვარეთ მღვდელმთავრის ეზოში: ზოგი პირში აფურთხებდა, ზოგი სცემდა, ბოლოს მის სატანგედად ესეც მოიგონეს: თავზე გადაეფარეს საბურველი, სცემდნენ მთრახნით და ჰკითხავდნენ: „აბა, თუ შენ მეფე ხარ, გამოიციანი ვინ გცემო? აქედან იესო ქრისტე წაიყვანეს პილატესთან, რომელიც იყო რომის იმპერატორისაგან დაქვემდებებული ურიასტანში უმაღლეს მსაჯულად.

ეს იყო ჩვენი კაცისის ქვეყნიდან გადასული და გავრად პონტოელს ეძახოდნენ. პონტოელმა პილატემ განიხილა იესო ნაზარეტელის საქმე; მაგრამ დანაშაულობა ვერა ნახა რა და უნდოდა განეთავითსუვლებინა. ამდროს მღვდელმთავრებმა ხალხი აღძრეს და შეიქნა საერთოთ ყვირილი; „ჯვარს აცვიეთ, ჯვარს აცვიეთ იესოვო“.

ერთი ებრაელი; სახელად ბარაბა, მაშინ აჯანყების გულისთვის იყო ავრეთვე დატყვევებული. მღვდელმთავრებს ბარაბის მხარე ეჭრათ და უნდოდათ მისი შეგება, რადგან იცოდნენ, რომ ბარაბა ურიასტანის ერთგული შეილი იყო და ცდილობდა სამშობლო განეთავისუფლებინა რომის კე-

ისრის ბატონობისაჲან. პონტოელს პილატეს უფლებ-
ბა ჰქონდა ერთ-ერთი დანაშაულოთაგანი ეპატივებინა
ხალხისათვის. ამ უფლებით ისარგებლა მან

თქვევნთვის მიპატივებია და მაგიერად ბარაბა
უნდა დაისჯოს; ხალხმა შექნა ცვირილი მღვდელ-
მთაწერების წაქეზებით და იძახოდა: „არა, არა,




კვარტზი ა. ს. ს. ა.

და გამოუსხადა ხალხს: რადგან ბარაბას უფრო და-
ნაშაული აქესო, ის ხელმწიფობის წინააღმდეგობი-
სათვის არის დაჭერილიო, ამისთვის იესო ნაზარევე-

ბარაბა გვაპატიე. ის ურისტანის ერთგული შვილი-
აო, ისევე იესო ნაზარეველი დასაჯეო“. პონტოელმა
პილატემ შეატყო, რომ ებრაული მღვდელ-მთაწერე-

ხალხს აბურტებდნენ, მოყრიდა ქვეყნის არეულობას და თქვა: წაიყენებ და, რაც გინდათ, ის უყავით იესო ნაზარეტელსო. მე კი უბრალოდ ვცნობ მავას და არც მინდა გავერიო მავის ცოდვაში, მე ხელი დამიზანაო.

ამას შემდეგ წაიყვანეს იესო ქრისტე და აქიდეს ჯვარი ზურგზე წასადებად. აუარება ხალხი დაედგნა უკან. მარიამ დედა მისი, მარიამ მადლიონელი და რამდენიმე მახლობელი იესოსი ტირილით და მწუხარებით უკან მისდევდნენ. იესო ქრისტემ, როგორც კაცმა, ვერ შესძლო მძიმე ჯვარის ტვირთვა, მთა-ღმისა სიარულით დაიქანცა, და ოღო წაურწურით ჩამოიღობა სახეზე, ბოლოს დღეცა მიწაზე და მეტრის დაღალულობისაგან გული შეუწყუხდა. წმინდა დედებმა ქეთინით დაიტორეს გულშეწუხებული იესო. მაშინ რომის კეისრის ჯარის კაცებმა და მხედრებმა უბრძანეს ერთ მუშას სვიმონ კვირინელს, რომელიც იქვე ფერლობზე ყანაში მუშაობდა: მოდი, „ჯვარის ტვირთვაზე მოცემარე იესოსო. აი, ეს წამია ამ ნაზარეტელ გამოსახული, რათაც იყო, იესო მიიყვანეს გოლგოთა და იქ ჯვარს აცვეს.



ათი წლის ანგარიში

(კახ-გუბის გამყესხებულ-შემხანველ ამხანაგობას).



მოსწენებული ამხანაგობის დაარსება ითავებს მლ. 3. ცვარევიშვილმა და ს. ი. წერეთელმა. მახლობელმა გოჩა-ჯიხაიშის ამხანაგობამ ისეთი წინააღმდეგობა გაუწია ამ ამხანაგობის დაარსებას, რომ პირვანდელ 300 მსურველთაგან ამხანაგობის გახსნის დღეს, 4 მაისს 1884 წელსა, ძლივს 27 კაცი გამოცხადდა. ამ დღეს მოაბტყეებული გეყავდა ამ გვარ სასაფლო საქმეთა თანამგმარებელი კ. ზ. ალშობაია, მაშინდელი თანაშემწე ქუთაისის მაზრის უუროსისა და პირველი თავმჯდომარე ჩენის ამხანაგობის „არჩევისა“. ამ 27-მა კაცმა წარმოადგინა სულ 630 მანეთი, რომელიც იქვე, კრების წინაშე, ჩაიწერა ამხანაგობის დათვრებში და წვერთ-დამფუძნებელთ მიეტოვა ამხანაგობის გამგებობისაგან თითოულს სახელზე „წიგნაკები“. მას მერმე ამ ათის წლის განმავლობაში, ამხანაგთა რიცხვი თანდათან ემატებოდა და 27-დან 400-მდის ავიდა; „წილის ფულმა“ (Иай) ასე იმატა: პირველი წლის ბოლოს „წილის ფული“ იყო 1972 მ.; მეორე წლის დასასრულს—2838 მ.; მესამისა—3396 მ.; მეოთხე წლის გასულს—3578 მ.; მეხუთისა—3854 მ.; მეექვსე წლისა—4462 მ.; მეშვიდისა—5053 მ.; მერვისა—6017 მ.; მეცხრისა—6976 მ. და მეთათე 1893 წლის დამ-

ლგეს და ამ მდგომარე წლის დამდეგს ამხანაგობას ჰქონდა „წლის ფული“ 9069 მანეთი.

პირველი წლის განმავლობაში ამხანაგობის აღებ-მიცემობას შეადგენდა 4902 მ.; მეორე წლისას—10597 მ.; მესამისას—13488 მ.; მეოთხისას—15169 მ.; მეხუთისას—19156 მ.; მეექვსისას—17597 მ.; მეშვიდისას—19743 მ.; მერვისას—27545 მ.; მეცხრისას—32190 მ. და მეათისას, 1893 წლის, აღებ-მიცემობა იყო 42243 მანეთისა.

პირველი წლის ბოლოს ამხანაგობას ჰქონდა თავისი და სხვისი სულ—3745 მანეთი; მეორე წლის ბოლოს—5474 მ.; მესამე წლისა—5923 მ.; მეოთხე წლის ბოლოს—7015 მ.; მეხუთე წლისა—8017 მ.; მეექვსე წლის—9265 მ.; მეშვიდესი—10650 მ.; მერვისა—12491 მ.; მეცხრისა—14332 მ. და მეთათე 1893 წლის გასულს, ამხანაგობას ჰქონდა 19719 მანეთი. ამ ფულიდან ამხანაგობას გასესხებული ჰქონდა 18468 მანეთი, დანარჩენი 1251 მანეთიდან ამხანაგობას ჰქონდა ნაღდი ფული 150 მანეთი, პირველი სესხის მომგებიანი ბილეთი 245 მანეთისა და „ქონებაც“ 856 მანეთისა. ამ ქონების ამხანაგობისას შეადგენს: მიღიფუსაგან ეწესხის საწამლებელი ათი მანქანა ევროპოელისა თავისი ბოჭკებით, ერთი საამხანაგო სასიმიდე (რომელიც ამხანაგობამ შარშან ააშენა, ბოჭკეს კომლზე თითო გოდარ (ფუთიანი) სიმიდს, ინახავს სასიმიდში და ასესხებს მსურველთ ახალ მოსაელამდის) და ერთი რკინის „კასას“. წელს ამხანაგობამ გადაწყვიტა შეიძინოს კოტა ადგილი და ააშენოს თავისთვის საკუთარი სახლი. დღემდის კი ამხანაგობის „კასას“ კუხის საწაფლებელშია მოთავსებული.

ამ ათი წლის განმავლობაში ამხანაგობას მიუღია სარგებელი ფულის მსესხებულ ამხანაგთაგან (ას მანეთში თორმეტი მანეთი წელიწადში) სულ თერთმეტი-ათას-ოთხას სტრამეტი მანეთი (11419 მან.) ამ ფულიდან ამხანაგობასვე მიუღია სხვისთვის მოზარებულ და ნასესხ ფულების სარგებლათ ორი-ათას მანეთზე მეტი (2639 მ.); ამხანაგობის საქმეთა წარმოებისთვის დახარჯულა ათას-ხუთას მანეთზე მეტი (1542 მ.); დანარჩენი შეიღი-ათას-ორასი მანეთი (87238 მ.) ამხანაგობას წმინდა მოგება დარჩენია. ამ შეიღისა-ოც-დასამი თუმინდან სათადარიგო თანხთ გადუღენსა სომოც-და-ათ თუმინამდის (675 მ.), დანარჩენი ექვსს თუმანზე მეტი დივიდენტი მიუღია თავის ფულით სარგებლათ, ერთი-მეორეზე 12% — 16%.

ამ ათი წლის განმავლობაში სავამეგობო ხარჯები ასე მატულობს: პირველ წელიწადს ამხანაგობის საქმეთა წარმოებაზე იხარჯება 56 მანათი; მეორე წელიწადს—93 მ.; მესამეს—104 მ.; მეოთხე

—118 მ.; მეხუთე წელიწადს—138 მ.; მეექვსე წელიწადს—140 მ.; მეშვიდეს—163 მ.; მერვე წელს—225 მ.; მეცხრეს—224 მ. და მეთეს 317 მანეთი. უმთავრეს ხარჯს ამხანაგობისას შეადგენს პირველათ გამგეობის ჯამგირი (სამი წვერი გამგეობისა კვირამი ერთ დღეს მუშაობენ), მერმე კასის ყარაულისა, მას მერმე „რჩევისა“ (ექვსი კაც; რჩევის წვერნი, რომელთაც თემში ჩამოდენმეჯერ და ერთხელ მაინც უნდა მოახდინონ „სხდომა“ ახალი ამხანაგების მისაღებათ და თეიური ანგარიშის გასაკებათ) და ბოლოს დაეთრების, ბლანკების, ფოსტა-გზისა და სხვათა. გამგეობა პირველ წელიწადს უსასყიდლოთ ემსახურებოდა; მეორე წელიწადს თითო სხდომასზე, კვირამი ერთხელ, სამივე წვერი ერთად იღებდა ერთ მანეთს; მესამე წელიწადს—1 მ. და 20 კაპეიკს; მეოთხე, მეხუთე და მეექვსე წელიწადს 2 მანეთს; მეშვიდე და მერვე წელიწადს თითო სხდომასზე სამინივე 3 მ. და 20 კაპეიკს; მეცხრე და მეთუ წელიწადს, როგორც ამ მეთერთმეტშიც, 3 მ. და 60 კაპეიკს; ორნი თითო მანეთს და მესამე—1—60 კაპ. რჩევის წვერით პირველ ხუთ წელიწადს უსასყიდლოთ უმსაჭურათ, მას მერმე კი თითოულ სხდომასზე თითოულ დამსწრე წვერს ეძლევა 40 კაპეიკი. (40 კ.). ყარაულის ქირა პირველ შვიდ წელიწადს კუხის შკოლის მასწავლებელს არაფერი აუღია; მას მერმე კი, როცა შკოლის მასწავლებელი გამოიცვალა და ახალმა მასწავლებელმა ამხანაგობის კასის დარაჯობა არ იკისრა, ამხანაგობა დარაჯებ იხდის წელიწადში 30 მანეთს.

დღიდან დაარსებისა ამხანაგობას უფლებმა არასოდეს არ ჰქონია, თუმცა მას არც სახელმწიფოთ, არც კერძო ბანკებიდან ფული არ უსესხებია. ამხანაგობამ მოიპოვა ნდობა სოფელში, საიდანაც აბარებენ მას ფულს კერძო პირნი, ასე რომ, ამხანაგობას თავის სასუქართო ფულის ოდენი და მეტიც ზნორით მობარებული აქვს. მობარებულ ფულზე ამხანაგობა აძლევს 7—10 პროცენტამდის. უფადოთ მობარებულ ფულს ეძლევა 7%, ერთის წლის ვადით მობარებულს—9%, ორის წლისას—10%. მხოლოდ 1700 მანეთზე, ორის წლის წინეთ სოფელში ფულის სიძვირის დროს, ამხანაგობა იძულებული იყო მიეტ 12% ორის წლის ვადით ფულზე...

ამ ათი წლის განმავლობაში ამხანაგობას ზარალი არა უნახავს რა, არც რაიმე გაუყიდა თავის წვერთავანისთვის ამხანაგობას ვალში, თუმცა ოთხასოც-დაათ წვერთავან, სხვა-და-სხვა მიზეზებით, ასამდის ამხანაგი გამოირიცხებოდა ამხანაგობისაგან. ამხანაგობათ უმთავრესად გლეხნი, სოფლის მუშე ხალხია. ფული სესხდება უფრო წერილ-წერილათ, 25-დან 50-მდე და ას მანეთამდის. ხუთი მანეთის მსესხ-

ბელიც არიან. საზოგადოდ 150 მანეთზე ზევით ფული არავის ესესხება. ას მანეთზე მეტს გლეხი მხოლოდ ადგილის ყიდვის დროს სესხებოდას. ისე კი ვალს ძლიერ უფრთხის; რაც ზედ-გამაჰკირლიათ არ ეტარებება საქმისთვის, ერთ მანეთსაც მეტს ვერ ასესხებინებთ.

საზოგადოთ ამხანაგები კარგათ არიან გაცნობილნი თავის „ბანკის“ წესდებას. ყველა ერთხელვე დაჯერებულია, რომ ვადაზე ფულის შეუტანლობა მასვე აწენებს. ამისთვის ასეა, თუ ისე, ახერხებს, რომ შეიტანოს პირიანათ. ახერხებს-მეთქი, რადგან ამხანაგები ერთმანეთის ნდობით იოლათ გამოდიან ამხანაგობასთან. ეთქვათ მაგალითად, რომ რომელიმე თვის პირველ რიცხვებში ქაიხოსრომ უნდა შემოიტანოს ფული ბანკში, რადგან მაშინ მოუღის ვადა; ამავე თვის ათში მამუხარს აქვს აქვე შემოსატანი ვალი. აქ ქაიხოსრო და მამუხარი ერთ-მეორეს უმართავს ხელს: ორნივე ადვენენ ას მანეთს, რომელიც ჯერ შემოაქვს ქაიხოსროს თავის ვადაზე, მერმე, ერთ კვირას შემდეგ, უკანე მიაქვს და მამუხარს აძლევს, რომ ამანაც თავის ვადაზე შემოიტანოს ამხანაგობაში, რომელიც ერთ კვირას შემდეგ მამუხარსაც ასესხებს და ეს უკანასკნელი კი მისს ხელის გამწყობს უსწორდება. არ ყოფილა მაგალითი, რომ ამ გვართ ხელის გაწყობაში, რომელიც სიტყვიერი ნდობით ხერხდება, ერთს მეორესთვის ელატებოდას. არც იმის მაგალითი ყოფილა, რომ მსესხებლის ვალი მისს თავებზე გადაეხადოს. წესდების ძალით ერთი ამხანაგი მეორეს ოც-და-ხუთ მანეთზე მეტში ვერ ადვენება თავდებათ. მაგალითად, ოცი მანეთის „წილის ფულის“ მექონი გაიტანს ვალთ უთავდებათ ორმოც მანეთს და, თუ ესაჭიროება და ერთი თავებზეც მოაყვანა, მაშინ წა მანეთს ესესხება. ასე რაიმედ თავდებასაც იშოვის, იმდენს 25 მანეთი მეტი ესესხება, სულ კი არა უმეტეს 150 მანეთისას.

ამ ბოლოს დროს მთავრობამ განიზრახა გაამრავლოს სასოფლო ბანკები, რისთვისაც უკვე შეიმუშავა საზოგადო წესდება სხვა-და-სხვა სამგვარ ბანკებისთვის. მათ შორის ერთ გვარი გამსესხებელ-შემანაცვლი ამხანაგობაა, რომლის ახლანდელი წესდება ცოტათი უნდა შეიცვალოს.

ნ. წერეთელი

„მთაბანის“ პუბლიცისტკა

(№ 1 და 2)

(წერილი შორეული ჩუქნადან)



მ სათუროთ გესურს მკითხველს გაუზაროთ ჩვენი შენიშვნები ყურნალ „მთაბანის“ შესახებ. ჩვენი ყურადღება მიქცეული იქნება მხოლოდ პუბლიცისტურ ნაწილისაკენ და აღენიშ-

ნათ უმთავრეს კითხვებს, რომელნიც კი წამოყენებულია და ღირსია გარჩევისა; ჩვენ შეეჩერდებით მხოლოდ იმ ღვდა-ბობთან, რაზედაც დაყრდნობით გამაგრებულია ეს თუ ის გასარჩევი წერილები. მკითხველი ნუ დაგვიმღერება, თუ ჩვენი შენიშვნები მოკლედ მოკრილი და დაწვლილებით ვაუთმარტებელი დაჩნეს.

წერილში „მოამბის პროგრამის გამო“ ციხთულობით ჩვენ საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა დასთა ბობოქრამ, განიდა ორი პარტია; უეჭველად ერთი უფრო მართალია, მეორე მტყუანი, მაგრამ „ვერც ერთი, ვერც მეორე პარტიაში ჩვენ ვერ ჩადვდებით“. რათა იმიტომ რომ „პარტიის დისციპლინა თავისუფალი ხელი არ შეგვიკრას და პირუთენელი ნიადაგი არ გამოგვაცალოს იმდროს, როცა ჩვენი მიუდგომელი სიტყვა უნდა ეთქვათ“... ამგვარად, „მოამბე“ ძალიან უფრთხის პარტიაობას: იმას სურს ყოველსავე პარტიას ვარგულად დავდეს და თავისი მართლმსაჯულება „თავისუფლად“ წარმოიტყოს. ძნელი მისახვედრია, თუ რა დასებზეა აქ ლაპარაკი, მაგრამ დავიჯეროთ ეს და დავდეთ იმავე საფუძველზე, რასაც ქურნალი გვიჩვენებს და ვიკითხოთ: რანაირად შეიძლება ამ მიზნის მიღწევა? ან ორივე დასის მოძღვრებას უარი უნდა ეყოს, ან და ორივედან ქეშარიტება გამოიკრიბოს და ერთად ჩამოსხას. როცა უარს ყოფენ, უთუოთ მეორე რასმე ამტკიცებენ. ამ შემთხვევაში საზოგადოებაც ემხრობა ამას თუ იმას, დგება ახალი დასი, ირკვევა ახალი პრინციპი და ორგანოც ამდროს სულის ჩამდგმელია. რაკი „მოამბე“ არც ერთ დასს არ ემხრობა, აშკარაა რაიმე ახალი უნდა თქვას, ორივე დასი აწონ-დაწონოს და შესაფერი საწყაო მიუზომოს. მხოლოდ ამისათვის საჭიროა ჰქონდეს თავისი შესწავლილება, შეშეშეხელობა და გამორაკვეული ღვდა-ზრნი. აი, ეს ძეგბა სარჩულად ყოველივე მის ნაწარმოებს და ჰხდება გზის მანათობელი ვარსკვლავად. მკითხველების ერთი ნაწილი ითვისებს ახალ თეორიას, იკრიბება რედაქციის ვარგემშო და მკვიდრდება დასი. ასე თუ ისე „მოამბეს“ ძალა-უნებულებით აუყვანებს დასის შედგენა და მეთაურობა. მაგრამ ის წინდაწინ გვაფრთხილებს: ჩვენ დასის მოყვარული არ ვახლავართ, ჩვენივე ხელით თავის თავს არ ეკრიპათია. მაშ რანაირად მოეწყოს ეს საქმე? თუ რაიმე ახალი აღიარა, დასი დგება, რომელიც მას ასე აფრთხოვს, თუ არა და საღარის ხსნა? აქ ერთად ერთი შეგვლა: „მოამბე“ უნდა თქვას იმისთანა რაიმე, რაც ყველა დასს, ყველა პირს და ყველა წოდებას დაამყაროთლებს ე. ი. არც მწეადი დაწესება და არც შამფური, ამ შემთხვევაში მართლაც ვერავითარი დასი ვერ შედგება, რადგანაც მკითხველს გზა ავებნება, იდეალს ეკარგება.

თანხმად ამისა ყურნალის შეხედულობა სწორედ საუცხოვრია: „ყოველ საგანს და ყოველ მოვლენას, რომელიც შეეხება ქართულ საზოგადოებას ჩვენ გავსჯით და დაუფასებთ ქართული საზოგადოების კეთილ-დღეობის და სარგებლობის მიხედვით“, ეს სარგებლობა იქნება ჩვენი თვალთა ხედვის ისარი (გვ. 106). ამის თქმაც საჭირო ყოფილა! ქართული ქურნალი ქართულ იტერესებს იცავს! არ გიკვირთ? ერთი მიზანით, რომელიც ერთს მწერლობა იქადის: ჩვენ ჩვენს სამშობლოს ვემსახურებით? ამნაირად, რედაქცია ცილობა უთუოდ საზოგადო ფრაზებით გაგვისტუმროს, სწორად ისე, როგორც ძველ ბერძნებს პითია (გულთმისანი) გაისტუმრებდა ხოლმე, რაკი ამ გზას დაადგა, რასაკვირველია, განსაზღვრულ-რასმე ვეღარ უნდა მოველოდეთ.

ავიღოთ მეორე მაგალითი: „იმ გარემოებამ, რომ ჩვენი ნივთიერი ყოფა-მდგომარეობა თანდათან მკირდება და კლებულობს, რომ მამა-პაპის ქონება ხელიდან გვეცლება... ჩვენი თავად-აზნაურობა და მთლად ჩვენი საზოგადოება საგარემოებში ჩაავლო“ (შინაური მიმოხილვა). მოდი თ და ვივით ეს! ნეტავ ეისი სახელით ლაპარაკობს ავტორი? საქართველოს? ჩვენ კი გვეგონა, რომ საქართველოს სიმდიდრე დღით დღე იზრდება და მატულობს. თურმე ნუ იტყვი! უკან, აღა-მამამდ-ხანისკენ, წავსულივართ. დავუჯიგოთ ესეც მექორანიც? რას უწოდებს ის ერის სიმდიდრეს? განა ამ 10—14 წლის წინად იყო ჩვენში აღებ-მიცემაზა შევი-ქვის, ნეთის, ქვა-ნახშირის და სხვა ვაჭრობა და მრეწველობა? რკინის გზა და ფოსტა-ტელეგრაფი ამ უკანასკნელ ხანში არ ვიგია-როთ? განა წინათ უფრო ბევრი სიმდიდრე ტრიალვებდა ჩვენში? ლუარსაბ თათქარიძის დროს უფრო კარგად ცხოვრებდნენ? მაგრამ არა. მაგიერათ ის მეორე აღავსა სულ სხვას გვეუბნება: „ჩვენის ბედის, ჩვენის მომავლის იმედი დამყარებულა მხოლოდ ქართველის ერის იმ ნაწილზე, რომელიც ამ სარბიელზე (აღებ-მიცემაზაში) გამოიჩინეს თავს“ (105). რანაირად შევარგოდ ეს ორი სხვა-და-სხვა აზრი? ქართველობა აღებ-მიცემაზის სარბიელზე ამ ბოლოს დროს გამოვიდა, მაშასადამე სიმდიდრეც აღორძინებულია. შეიძლება რედაქცია თავად-აზნაურობის სახელით ლაღებდეს. მართალია ჩვენს „ბრწყინვალე“ წოდებას ბატონ-ყმობის დროს თავის დედულ-მამული უკლებლად ჰქონდა დაცული, ახლა კი თანდათან ეცლება ხელიდან. მაშ ბატონ-ყმობის დროს უნდა დაუბრუნდეთ? ან ერთი წოდების დაწერილ-მანება მთელი ერის სიღარიბეს მოასწავებს? თუ საფრანგეთში თავად-აზნაურობა განადგურდა, ქვეყანაც უნდა დამკვითვებულიყო? ამას ხომ მექორანიც უარს ყოვს: „საფრანგეთი და ინგლისი ეს ორა ქვეყანაზე ფულით და სარჩოთ და განათლებით უძლიერესი

ხალხია“ (152). ამისთანა აუცილებელ საფრანგეთში თავად-ზნაურობა არ არსებობს. როგორ მოვათავსოთ ერთად ეს მოუთავსებელი წინადადებანი? აი, რანირი უთავებოლოებაში შეტევა რედაქციამ. საზოგადო ფრანგებით ლაპარაკმა ასე იცის. იგივე მექრანოვე გვიჩვენებს: რადგანაც საუკუნოებათა განმავლობაში ჩვენ მიწას ვებლაუტებოდით და მტერი მით ძლიერით, ამისათვის ახლაც ნუ გაუშვებთ ხელიდან, შევიძინოთ სამეურნეო ცოდნა და შევიმუშავოთ მამულო. (113—119) შეურყეველი საბუთია, ჩემმა დღემ. სოფელში რომ შიმშილით კუჭი გინებოდავს, არსად არ დაიძრა ლექმა პურისათვის, თორემ ეს მამა-პათა ანდერძის შელახვა იქნება. რომელ ერმა არ დაიცვა სისხლით სამშობლო? რომელ ქვეყანაში მცხოვრებთა და მათ მიწას შუა არ მსუფევედ ერთობა? განა ესეც დასაყვენია? მაგრამ აუარებელ ხალხმა დასტოვა თავისი მიწა-წყალი და ქალაქებს მიაწყდა (იხილეთ ამის შესახებ ბან იოსელიანის წერილი „მეურნე და მეურნეობა“ იმავე „მოამბის“ ნომერში). ეს კიდევ არაფერი, მრავალმა სრულებით დატოვა სისხლით მორწყული სამშობლო და უტკბოეთში გადახიფწა. ამერიკა, აფრიკა, აუსტრალია და სხ. ევროპიელებით დასახლდა. ცხადია მამა-პაპეულ ანდერძს აქ ადგილი არა აქვს; აქ უფრო რთული და ძლიერი მოვლენა მოუწია, რომელიც გამოკლევას და ახსნას თხოულობს და არა მექრანოვესებურ მამა-შვილიერ დარიგებას. სჯობს ამის შესახებ ვალაპარაკოთ თვით რედაქცია: „უამისოდ (ე. ი. უადრე-მიცემობათ) ვერც წასული მოღვაწეობა და ღირსება მამა-პაპათა, ვერც კეთილ-შობილური სისხლი და ვერც ჩინებული მეგვიდრეობა ვერ გვიხსნის დალუპებისაგან“ (105). რას ნიშნავს ეს? ერთ გვერდზე გვეუბნებიან: უნდა გამოხვიდეთ აღებ-მიცემობის სარბიელზე ე. ი. დაიმართოს ქარხნები, ზაფხულები (საშენებელი), გზები და სხვა, დაიძრას სოფლის ხალხი, გაშენდეს ქალაქები, გააღიდეს ეაქრობა და სხვა; მეორე გვერდზე კი გვიქადაგებენ: არა, მაგრად იჯექით თქვენ-თქვენ ბუდეში, ღმერთი არ გაგოწყყისთ და ხელიდან არ გაუშვათ მამულ-დედულო. აქ არის ხსნა, ამას ჩაებლაუტეთ. ერთ წერილში გვითხულობთ: „ჩენის აზრით ქართველი ვერ დაჩნდა და არც უნდა დაჩნდეს მხოლოდ სოფლად და ჩემს მოამქედთ, იგი ქალაქშიაც უნდა დაემკიდრდეს.“ (106), მეორეში: „ხელში ისეთი ფარ-ხმალი უნდა ავიღოთ, რომ ჩენი ადგილ-მამული, სამშობლო, შეგვაპოჩინოს; ეს ფარ-ხმალი, სხვათა შორის, სამეურნეო სწავლა-ცოდნაა, ურომლისოდაც ყოველად შეუძლებელია კეთილ-დღეობა და დემკიდრობა“ (119). ხოლო, რამდენად შეუძლია სამეურნეო სწავლას ადგილ-მამულის შე-

ნახვა, ამას ცხადად გვეუბნება ბან იოსელიანი იმავე ნომერში: „დასავლეთ ევროპის მეურნე ქართველ მეურნესთან შედარებით ბევრით უფრო განათლებულია, ამასთანავე იმასაც ნუ დავიფიქვებთ, რომ ევროპიულ მეურნეს უფრო რიგიანად აქვს, მოწყობილი თავისი მამული, ვიდრე ქართველ მეურნეს... ერთი სიტყვით დასავლეთ ევროპის მეურნეს ხელთ აქვს და, თუ არ აქვს, შეუძლია ადვილად და თავად მოიპოვოს ყოველივე ეს, რასაც კი შეუძლია გააუმჯობესოს მისი შრომა, თუმცა ეს ასეა, მაგრამ ვინც კი დასავლეთ მეურნეობას თვალუურს ადევნებს, შენიშნავენ, რომ იქაური გლეხი მეურნე თანდათან უფრო ღარიბდება, ვალში ვარდება და იძულებული ხდება თავი დახსნას მიწას და გადავიდეს ქარხანაში დღიურ მუშად.“ (25) რა მოჩვენება ეს? ამდენი ერთი მეორის მოწინააღმდეგე აზრებით ერთ და იმავე ჟურნალში, ერთ და იმავე რედაქციაში? უბრალო აღმანახშიაც ვერ შეხედებით ასეთ არევე-დარეობას, პრინციპის აბუხად ავლებას. რა არის ამის მიზეზი? რედაქცია უფრთხის დასობას, ამისათვის განსაზღვრულს ევრას გვეუბნება, პრინციპი დაპყრავთ; მისი აღავი ფრაზებს დაუჭერია. რედაქცია ამბობს: „... ურომლისოდაც (ე. ი. სამეურნეო სწავლა-ცოდნის უქონელობისა გამო) ყოველად შეუძლებელია ქვეყანას სიმდიდრე გამოვლენიონთ და კეთილ-დღეობა დაემკიდროთ“. კიდევ ვიკითხავთ: ეისი სახელით ლაპარაკობს რედაქცია? მთელ საქართველოს? მაგრამ მთელ საქართველოს რომ კეთილ-დღეობა სამეურნეო სწავლა-ცოდნით არ დაუმკიდრდება, ამას გვიმტყიცებს ბან იოსელიანი. გლეხი იძულებულია დატოვოს თავის მიწა და სხვაგან წავიდეს; ცხადია, ვინმე ისაკუთრებს მის ადგილ-მამულს. ვინ? რასაკვირველია, შეძლებული, მდიდარი, რომელსაც მაშინების ყიდვაც შეუძლია და ავრონომის ყოლაც. ამ შემთხვევაში მართლაც ქვეყანას სიმდიდრეს „გამოაღებინებს“, მაგრამ თავის სასარგებლოდ და არა გაქცეული გლეხისა. აქედან ცხადია, „მოამბეც“ შეძლებულთა სახელით გველაპარაკება და არა მთელის ქვეყნის სახელით. ამ სახით სრული აზრთა წინააღმდეგობა სუფევს რედაქციას და მის თანამშრომლის ბან იოსელიანის ნაწერებს შორის. თუმცა საქმით ასეთი სრული არევე-დარევეა სხვა-და-სხვა მიმართულებისა და შეხედულობისა, მაგრამ სიტყვით კი სხვას გვეუბნება რედაქცია: „ეევროპის უნდა ჰქონდეს თავის პრავრამმა და მიმართულება, რომელთაც უნდა ეთანხმებოდნენ ჟურნალში მოთავსებული თითოეული წერილი და თითოეული იქ გამოსაქმედი აზრის“ (102). კურსი იქნება. მაგრამ ეს ჰქმნაოიტება რედაქციას, როგორც სჩანს, წამოცდენია მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ არ დასრულობს.

ახლა გადავიდეთ უცხოეთის მიმოხილვაზე. აქ სწორედ ნამდვილი მარგალიტებია ჩაყრები. უცხოეთის ქრანია უფრო ბავშვურ ტიტინს ჰგავს, ეძირე ჰქუა-დამჯდარ მსჯელობას; მაგ, როცა ბავშს ჩინაზე თქვა სურს, მოგაიყვება ცის, ბარის ამბავს და ბოლოს ისევ იქ მივა, საიდანაც დაიწყო. ჩვენი ავტორიც მოსდებია ლაბე-ყოჩეს, ვადმოულოვებია მეცნიერება, ქრისტიანობა, სათნოება და სხ. მხოლოდ იმტომ რომ ვთქვა: რუსეთი საფრანგეთთან შეერთებული იხსნას დღევანდელ ცივილიზაციასო. საბრალო ევროპა? იმედია, ცოტახანსა შემდეგ ევროპა ჩინეთს მიმართავს: გვიხსენი, თორემ ერთმანეთს დაეგლუჯათო. დალოცვილი ავტორი ამისთვის რაღას იწყებდა ადამიდან? ამ ჰუმანიტეტებს განა „Гражданинъ“ და „Московскія Вѣдомости“-დან ვერ ვადმოწერდა? ბ-ნ მექრონიკეს მთელი ქვეყანა ორად გაუყვია: საქრისტიანო და არა-საქრისტიანო. ქრისტიანობაზე კაცშირი „ისე მტკიცეთა, რომ უცხო სარწმუნოების ერმა რომ ერთ-ერთს ზემოხსენებულ ერს (რუსს, ფრანგს, სომეხს, ბერძენს და სხ.) გამოუცხადოს ომი, თითქმის მთელი დანარჩენი საქრისტიანო ერობა ვალდებულია ჰრაცხს თავის თავს ხმალ-ამოღებულმა დაიცვას თანამორწმუნე შმა ერიო.“ (147). აი, უკანასკნელი სიტყვა პოლიტიკისა! სად არის ინგლისი, რომ ამდენხანს ჩვენი მექრონიკის ფილოსოფია ვერ შეუღენია? მაშინ ხომ სათათრეთს დახმარების მაგიერ „ბღღივრს“ ააღენდა. ერთი ვითხოვთ ჩვენს პოლიტიკოსს: მიგეთითოს ერთ რომელსამე ისტორიულ მაგალითზე, იმის დასამტკიცებლად, რომ მხოლოდ სარწმუნოების გულისთვის დავფაროს ერთი ერი მეორეს. სხვა თუ არა, ჩვენი ისტორია გადათვლიეობს და გავიგებს ჰუმანიტეტებს. მაგრამ ავტორი ამას არ დაგიდევს; მას ჰსურს მკითხველს განუზიაროს თავის დაიკნურე შეხედულება ისტორიაზე და ამისთვის ეინ იცის, რას არ ეკიდება. მისი აზრით საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ქრისტიანობა განამტკიცა (გვ. 149). თუმცა ჩვენ კარგათ ვიცით, რომ დიდმა რევოლუციამ ქრისტიანობის იერარხის წი-

ნააღმდეგ ვაილაშქრა: „დაიკეტა ეკლესიები, მოწას ტრები, ბერები განიდევნა სამშობლოდან და სხ.“ შეჩერდა ნათელი, ზიარებდა და სხვა. ძლიერ ნაპოლეონმა ალაღინა ქრისტიანული წესები. მაგრამ ამისთანა შეხედულობისათვის რა საჭიროა ისტორია? ერთ ალაგას ერთს იტყვის; მეორე ალაგას მეორეს. იგივე ავტორი ქრანიკის ბოლოში ამბობს: ახლანდელ ევროპის მწერლობამ ღმერთი დავკარვა, მატერიალური მიმართულება მიიღოვა და სხვ. თავში გვაწმუნებს ქრისტიანობამ ფეხი მოკიდეთა, ბოლოს იხსნის სარწმუნოება—შეირყო. რომელია მართალი? ავტორისთვის ორივე ჰუმანიტეტია, რადგანაც მისი თეორია ამას მოითხოვს; ისტორია კი გვიჩვენებს, რომ დიდ რევოლუციას შემდეგ საფრანგეთი სისხლის ღვრით გზების ცალკე ეკლესიას და ცალკე პოლიტიკურ და კაპიტალისტურ მტარეალებს. სახელოვნება გამებტამ მთელი თავისი პოლიტიკა ეკლესიასთან ბრძოლაზე დაამყარა, „ეკლესია—აი, ჩვენი მტერიო“ (L'Église-voilà l'ennemie) დაიერგინა მან პარლამენტში. არც ერთი ეს „მოამბის“ მექრონიკეს არ გავებდა. ავტორის აზრით დავაქარბებული სმა-ქამა, ქეფი და ლაზღანდარობა, უზუნებობა და გარყენილობა შედეგია მატერიალიზმისა. მისთვის ახალი ხილია ის მატერიალისტ-გეოგრაფიული ფილოსოფია, რომელიც მარქსმა და ენგელსმა შემოიტანეს საოცილოვანში. ამისათვის ის ვარბის ტოლსტოვისაკენ, რომელიც ჰქადაგებს: ყოველ ძალმობრეობას და ბოროტებას დაემორჩილეთო. აი, საითყენ მისიწრაუვის „მოამბის“ მექრონიკის აზრები და ჩვენც გზა დაუულოკოთ...

ჩვენ მოკლედ მოვსჭერით წერილების განხილვა, მაგრამ აქედანაც ცხადია, რომ არავითარი ცხოველ-მყოფელი აზრი, ზნეობრივი იდეალი არ არის შემოტანილი ახალ დაბადებულ ყურნალში. განვიერება იმის, რაც ათი-ათასჯერ თქმულა, ესეც აი შევედღე—აი, რა შეადგენს სარედაქციო წერილების შინაარსს. ეტყობა, რედაქციას ჯერ თავისებური საკუთარი სახელმძღვანელო პრინციპი არ შეუქმუნებია.

3. პეტრიძე.

(შედეგი იქნება)

კ რ ი ტ ი კ ა

ქართველი გლეხის შვილი

(„სხელა“—მოათხარა ნ. ქელანასი, 1891 წ.)

III.

ბელოვების ნამდვილს რეალურს გზასე საქართველოში იმ თავითვე დაადგა ბ-ნი ვ. წერეთელი, რომლის სიტყვა-კანზულ ნაწერებში უმეტ-

ნაკლებობა, დიდი სიციხეობით დაიხატა, ვაიშალა და დასურათდა ჩვენი ცხოვრების ეითარების არსებითი თვისებანი და უცნობი მხარენი *). ამ ბელეტრისტის პირველმა ნაწერებმა „მეზაერის წიგნებმა“ ღ

*) ჩვენს ცალკე არ იყოს, უდავლიათ მიგაქნას ჩვენის თანამშრომლის ვ. წერეთლის ჩვენსევე ცხელია ისტორიულად დაფუძნება და მისი ქება. ვიფიქროსო, ვერ დაგვანის ამისე დაზნავა, სანადის მისი ისტორიული

ჩენი ცხოვრების ყველიმა* ახალგაზდა მწერალს ჯერ კიდევ მაშინვე რომანტიზმის უარის მყოფელის სახელი გაუთქვა. ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბუკი გასაოცარის სინამდვილით, ცოცხლად არის დახატული. ეს შესანიშნავი თხზულება წარჩინებული ტალანტის მემკონი მხატვრის ნაწარმოებია. კიკოლიკი სრული და მასთან ცოცხალი თანამედროვე ტიპია იმ ცნობი რიგი ინტელიგენციისა, რომელიც ცოცხალიყოფად მოჰყვა ახალს, ბატონ-ყმობა რომ გადაერადა, მას შემდეგ დატარალბულის ცხოვრებას, და ჩვენს ეთარებაში ამ კიკოლიკის კატეგორიის ინტელიგენტებმა,— როგორც თვით ავტორიც ამბობს,— კიდევ მოიკიდეს ფეხი და გაიმარჯვეს. შესანიშნავია, რომ ჩენი ბელეტრისტი, ვით შემეწენის ყოველს ფხიზელსა და ნიჭიერს ახალგაზდა მწერალს რომელიც მთელის თავისი არსებით გატაცებული მრავალ-გვარ სამიერად უძაღლეს სურვილებათა და სამყაროსად იღვლებით, აღარ ზოგავს კიკოლიკს; ამ ნამდვილს გამოშხატველს საქართველოს ახალგაზდა ბურჟუაზიისას, დასცინის და თავისი ჩვეულებრივის მწარე სატირით ახასიათებს მას. ავტორი იმ თავითვე დაადგა ნამდვილს რეალურ მიმართულების გზას. ეს მიმართულება ავტორისა უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც იგი საზღვარ-გარეთ გაემგზავრა. ამ უმეცრედ ჟურნალ „კრედიტის“ დიდნას ან უცოცხლია. ამ დროს ევროპაში ჩენი ბელეტრისტი შეესწრო (ფრიად საყურადღებოა, რომ გ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე საქართველოში დასაუღეთის ევროპის ლიტერატურის მოძრაობის წარმომადგენელი არიან მაშინ, როდესაც ილ. ჭავჭავაძე და სხვა ქართლ-კახეთის შვილინი რუსეთის ფრიად სუსტად და ღარიბ ლიტერატურას დაქვემდებარებიან და დამორჩილებიან) და პირდაპირი მოწამე შეიქნა იმ მოძრაობისა, როდესაც „რუგან-მაკარების“ ავტორის, სახელოვანის ემ. ზოლას თვითიყელი ახალი ნაწარმოები ერთს უმეცრედელს ქარბზალს ასტყდა სოლმე მთელს მსოფლიო ლიტერატურაში. ემ. ზო-

ლას გენიოსობამ შესანიშნავი და ღრმა კვალი გაველო მთელს საზოგადო ლიტერატურის ისტორიას და იგი შეიქნა მოცუქული ახალის, ძლიერისა და ნაყოფიერის მიმართულების*). ქართველ ახალგაზდა ბელეტრისტს მიმადლებული ჰქონდა დასაუღეთის საქართველოს მკვირცხლი, დაკვირვებული და მახვილ-გონიერი, ცოცხალი ნიჭი; ამასთანვე იყო გემოგაზანილი და კარგად მომზადებული, განვითარებული ლიტერატორიც. ჯერ წინადე ბალზაკისა და ფლობერის რომანებით აღზარდილი რეალისტი ნიადვზე უფრო გაიხატა ზოლამ და საქართველოში დაბრუნებისთანავე იგი შეუდგა იმ ცხოვრების საუფუძლიანად დაკვირვებასა და მტკიცედ შესწავლას, რომელიც მომავალში უნდა გამხდარიყო მასალად იმის შემოქმედობითის ნიჭის გარჯამოღაწეობისა. მართლაც, გ. წერეთელმა ისე დახლოვებით გაიკნო ყოველი კუთხედ დასაუღეთის საქართველოსა, ისე ზედ-მიწვეთი შესწავლა იგი, რომ მას, თამამად შევიძლია ვთქვათ, ამ მხრით არა ჰყავს ბადალი არც ერთს ჩენს მწერალთა შორის. აი, ყველა ამ გარემოებას თან მოჰყვა გ. წერეთლის უკანასკნელი დროის მეტად შესანიშნავი ნაწარმოებნი: „საჩინო“, „ედიშერ ქველბაქიანი“ (დასრულებული არ არის), „მამიდა ასმათი“, „როუბი მგელი“ და რომანი (პირველი საქმეა ჩენს ახალს ლიტერატურაში—რომანი) „პირველი ნაბიჯი“. უნდა ვთქვათ, რომ თავის მოთხოზობათა ხელოვნურად გაშვენიერება-გაშოზარხაუში, ცხოვრების სინამდვილით, უმეტ-ნაკლებოა და შეუფერავ-გამოხატვაში,

*) ჩვენთვის საყურადღებოა ისიც, რომ რუსეთის სალიტერატურო კრიტიკა აღმცნავდ უნქერის რეალიზმის მოთავსეს, საფრანკეთის რომანისტს. ერთსეულ ზოლას ერთს თავის წერაღში წასცდა ფრანკის: „პროტოკოლის გავაღება“ სინამდვილისეკომ და, ამიტომც უარს ჰყოფენ მას, ვითარცა ხელოვნების ფორტორაფიულ სიამაყურედის დაქვეანს. სამგებროდ, რუსული კრიტიკა აღმცნოეს თავის დოსტოევსკისა და, ე. ტოლსტოისა და; აღმად კარვადც იქცევა თავის ჰეგოთ... ჩვენს კერისეულ საქართველოშიაც აღმცნინდა რეალიზმის უარის შეყოფელი. და იგი თ ვინ? არტურ შოპან... უგერცვად... არტურ ლეისტი, ცოდეილიშვილი დასაუღეთის დრო-გავსული ბურჟუაზიისა. ვინ იცის, იქნება, საფრანკოთე გულ-ამდგრულიც იყოს იქ ჩენი კეთილის-ყოფელი, ბანი ა. ლეისტი, რომელიც შექველვების ქართულს დაღერს გავსოს და რადც გაუგებარ სიხრმესებს, იღუზიება და ბუნდოვანს სასაღმობის მიმართულებას ეღაუშუქებს. ვაი, თუ ეს მობადუქება და დაქუევი ჩენს კეთილის შეყოფელს... დეკადენტიზმისეკნ მიაქნედექ!

არ დაუქვდივად და კრიტიკის თვლით არ განსიღულად დღეს ჩენი ახალი თაობა სრულით არ იცნოს გ. წერეთლის ბელეტრისტულ ნაწარმოებთა, რადგან ისინი ასადა ვერ არ გამოცემულან; სოლო ძველი ჟურნალ-გავსეთები, სცა მისი თხზულებანი იბეჭდებოდა; ადარ მოიბოკოიან. მგრამ ამ ოდღათის წლის ჩვენის ლიტერატურის ისტორიულად განხილვა ახალი სიღა და რადგან ამ მხრით სოამღელის სტატია ბერს ორიგინალურს ახრებს ჰქვადგებს, რომელიც უბეჭდვად გამოიწვევენ დიდს პასხს ჩვენს ლიტერატურაში, ამისთვის საჭიროად დავინახეთ ამ სტატიის გამოკვლეულად დასტამება.

რედაქტორი

ვტ.

მოამქმედ-პირთა სულის მისწრაფებათა და გულის-
თქმათა დახსიათება-გამოქანდაკებაში გ. წერეთელი,
ვითარცა ბელეტრისტი, შეუდარებელი მიელს აწინ-
დელს ქართულს ლიტერატურაში. ეს არის მიზეზი,
რომ იმის ნაწერების წაქიხნება ყოველთვის ძლიე-
რი და ხანგრძლივი შთაბეჭდილება და ზედ-მოქმე-
დება მოსდებს ხოლმე. გ. წერეთელი, ვითარცა მწე-
რალი, სულ-დათქმული, გულ-დამშვიდებული სე-
პტიკია. იმისი ნიჭი სწორად ისერის ხოლმე მწე-
რე ირონიისა და სარკაზმის ნაპერწკლებს. გ. წერე-
თელი, როგორცა ვთქვით, ასურათებს დასავლეთის
საქართველოს შვილთა ცხოვრებას, რომელიც ღირ-
სია და უნდა გახდეს კიდევ საგნად ცალკე სტა-
ტიის...

შესანიშნავია, რომ აღმოსავლეთის საქართვე-
ლოს ბელეტრისტთა შორის, მარტა ბენლოს აეტო-
რი ღვას დამოუკიდებელი და ნამდვილს, ჭეშმარიტს
რეალურს ნადავსე *) . დიად, ქართველი გლეხის შეი-
ლი, იმისი ყოველ დღიური ცხოვრება სინამდვილეთის
მხოლოდ ბ-ნმა მელანიამ დაასურათა. ამ ბელეტრი-
სტის ნიჭს ღრმად ჩაუხედავს იქ, სადაც ჩვენს გარე-
შემო მთელი ქვეყანა, მთელი ხალხი ცხოვრობს და
მწერე შრომის უღელში შემბული, განაცდის ათას
გვარ ვაი-ვგაღახსა და უბედურობას. მაგრამ ეს კი-
დედ ცოტაა. ნიშნობილი თვისება მელანიას ნიჭისა
კიდევ სხვა რამეც გახლავთ. მიაკცეთ თქვენი უჭ-
რადლება იმას, თუ როგორ ჰკიდებს იგი ხელს იმ
საქმეს, რომლის შემშუაფება და დახატვა გაუხდია
თავის ნაწარმოების საგნად. სხვა ქართველ ბელე-
ტრისტებსავე იმას თავისი ნაწარმოები მხოლოდ
იმისთვის კი არ გაუქიძიებს და დაუწერია, რომ უე-
პეოდ ყოველი კეთილი სათნობებია და გულის
მიმზიდველის თვისებით შეამკოს მდაბია ხალხი,
შექნას იდეალური არსებანი, რომელთადმი თანა-
გრძობა და სიყვარული უნდა როგორმე აღძრას
მკითხველებში. არა. აეტორი ეკიდება თავის საგანს
სწორედ ისე, როგორც მოეკიდება ხოლმე ყოველი
გამოაცდილი, მართალი გულისა და დაბრძენებულის

*) ამჟ ნადავსე დგამა აშკარად ბუკეა უკანას-
კნელი მოდგმის ასადავსე ბელეტრისტებს: ეკ. ნინო-
შვილას, დუტუ მერტულას და შ. ანაკეისპირელს. შ. ანა-
კეისპირელი მოჰყვა „ბუნელას“ ბუკოსს. ხოლო ეკ.
ნინოშვილი და დუტუ მერტული გ. წერეთლის მიერ გუგუ-
ლურს გვსზე დგანს. საუკუნადღებთა აგრეთვე ვაჟ-
ფაშაელს და თელა რაზიკაშვილის ფრად სიმპატური
და მოიხანაღურნი ნიჭი, როგორც ბელეტრისტებისა,
რომელნიც ბუკეისათვის შექმნიან სილამე ჩინებულს
სურათებს და მოთარბებს.

ავტ.

ნიჭის მექანი მოღვაწე ყოველს დიადსა და ღრმა
მნიშვნელობით საესე საზოგადო საქმეს. მელანი პი-
რდაპირ, უმეტ-ნაკლებოდ გვიხატავს გლეხთა ერთ-
ფეროვანს, მარტივსა და გახუნებულს, ღარიბს ცხო-
ვრებას, რომელიც დაუმონავებია საშინელს უმე-
ცრებასა და ამაოდ-მორწმუნეობას. იგი სხეებსავეთ
არ ჰჭარავს სოფლის მკვიდრთა გაუტანლობას, სი-
ბინძურეს, სულით და ხორკით დაფრთხილ-დაფარ-
დნილობას, ძალ-მომრეობას, რომელიც ყოველ-ფე-
ხის გადადგმზე ელოდება თითოეულს ახალკახლ,
ჯან-ღონით საესე მუშას. ეს გარემოება ქართველ
გლეხს უსაზბს სიცოცხლეს, აპირუტყვეებს, აჩაღუნ-
გებს ჭკუით და გრძნობით, აველურებს, და ჩვენი
თვალის წინ იხატება სოფელი მთელი თავის სახი-
თა და ცხოვრებით. დაუმეტეთ იმას ისიც, რომ აე-
ტორი რაიმე მოვლინების მარტა მშრალ ამბავს
როლი მოგვიტარობს გულცივად, მხოლოდ „პრო-
ტოკოლურს“ აშკარებთ სინამდვილისას კი არ აღნი-
შნავს ხოლმე. იგი სწევდება და გვისურათების მთელს
ყოფას, აღწერს ამ ყოფის უფრო მნიშვნელობისა და
არსებითს პირობებს, რომელნიც დაკვირვებული მკი-
თხველის გონებაში, უეჭველად, გამოიწვევენ ამ გა-
რემოების ზოგად მიზეზთა ძიებასა და გამოკვლევას.

ამ სახით გამოდის, რომ მელანიას ნაწარმოები
მარტა სავნის გარეგანს მხარეს, ზედა-პირს კი არ
უკირკიტებს ხოლმე; არამედ ღრმად გაეცნის მას,
მეტე დატეშმარტებნითა და სინამდვილთ, გაუზეი-
აღებლად წამოგვეყვებს საგანს. და ამით, რასაკვირ-
ველია, უფრო მეტს სიბრალულსა და თანაგრძნობას
აღძრავს ჩვენში დაჩაგრული გლეხ-კაცის, უბირი
კრუ-მორწმუნე და გაუნათლებელი ადამიანისადმი,
ვიდრე ისინი, რომელთა იდეალური და სანტიმენტა-
ლური „ხელოვნური“ აღწერილობანი სწორად
და ძლიან სწორადღა მარტო ღიმობი მოგვრის ხოლმე
კაცსა, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენთვის მეტსმე-
ტად სასიამოვნო და სანუგეშოც არის ასეთი ვაჟ-
კაცური, სწორი და გადაუხრელი გამოხატულება ქა-
რთველი გლეხ-კაცის ცხოვრებისა, რადგანაც მხო-
ლოდ ამ გვარი დასურათებითა და სინამდვილის ხე-
ლოვნურად აღწერილობით შეგვიძლია გავიგოთ ავი-
ცა და კარგიც, იმისი სულის მისწრაფებანი და გუ-
ლის თქმანი, ხასიათი და ყოფა-ბუკეა.

აქ აწერილია მდაბია ხალხის რწმუნებანი და
ჩვეულებანი, მელაკა და გამოლოცვანი. ამ
რწმუნებათა და ჩვეულებათა დაფარული, ძირი-
თად აზრები ისეთი შეგნებით არის დასურათე-
ბული, რომ ჭეშმარიტად, საკვირველია, როგორ და-
უყვირა აეტორი გლეხის დედა-კაცთა მთელს ფი-
ლოსოფიასა და სარწმუნოებას ასე საოცრად, წარ-

მოღვევის უდიდესის მადლით უხვად დაჯილდოებული მხატვარს რომ ასე ზედმიწევნით შეესწავლა და შეეფერა თავისი ნაშრომის საგანი, მაშინ იგი, უძველესი, ჩვენს ღირსს ლიტერატურას შესძენდა ფრიალ შესანიშნავს განძს, დიდად საყურადღებო ხელოვნურს ნაწარმოებს, რომელიც ძლიერს სურათების ჩამოსხმითა და ხასიათთა გამაჩრახება-გამოკანდაცებით, ერთხელ და სამუდამოდ, შექმნიდა სამკვიდრო და შეურყეველ ტანს მეოღის ქართველი მღაბოა ხალხის, მთელი ამ წოდების ცხოვრებისას. მაგრამ საგნის ცოდნისა, შეუბღაღველისა, მართალის შეხედულობისა და გლვებთა ცხოვრების დიდი სინამდვილით გადმოცემა-დასურათების ნიჭის მექნად შეღანის ჯგაფს, სამწუხაროდ, ის დიოთიონ გვეხდა, ციდან უსჯად მონიშქეული დიადი მადლი წამოაღვინისა, რომელად მსოფლად და მარტო მსუქლათა, ძლიერთა და მიწვეულ ხარისხიან მსატყაობთა სველჩრახ. საზოგადოდ, იმ ბეგეტირისებთა კატეგორიას, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი ავტორი, არა აქვთ უხვად მონიჭებული პირველ ხარისხიან მხატვრობის უდიდესი წარმოდგენა და ცეცხლმოკიდებულ მიწვევებზე ფანტაზია, რადგან ჩვენ კოდილი წუთისიფველზე მეტად ამაღლებულ ქვეყნის შეილთა არ ეკუთვნიან და ფეხნი მტკიცედ, მაგრად უდგიათ იქ, სადაც ჩვენ ეცხოვრობთ ჩვენი ყოველ-დღიური მუშაობისათვის და....

„სადაც ბევრს უჭირს ლეუკმა დლიური“... და აი, ნაცვლად ცეცხლ-მოკიდებულ მიწვევებზე ფანტაზიისა. კოდილილი წუთისიფვისა“ სინამდვილედ, ეს ჩვენი მუდმივი შრომა და ცხოვრება იმ ბეგეტრისტებს თვითონა, თავის თავად, აძლევს ხელში და უმზადებს ისეთს საოცარს მრავალ-გვარ და მრავალ-ფერად სურათებსა და მასალას, რომელიც ღირსათა თვით წმინდა სინამდვილისაგან აღებულ იქმნას და ასხმული იხე, როგორი ასხმულითადაც მხატვარს დაანახება თავის ნიქმა ისინი ცხოვრებაში.

სწორედ ასეთ ნიქთან, მელანიას აქვს აგრეთვე დაკვირვებისა და მიხედვითობის დიდი აზრი, რომელიც მუშაობის და ეფარება მას, რომ თავისი ნაწარმოების ცალკე-ცალკე სურათები ჰარმონიულად ააწყოს, შენიერად, დიდი სისტემითა და ხელოვნებით ასახს და დალაკოს. ამ ღრმა დაკვირვებასა და საზრიანობას გარდა, მელანიას ალაგ-ალაგ ეტყობა იუმბორი, მწარე ცრემლის ცვრებთ დასველებული სიცილიც.

ჩვენ არ გვსურს მკითხველი დაეკმაყოფილოს მარტო საზოგადო შენიშვნებითა და ლაპარაკით „ბნელი“ შესახებ. და, ამიტომაც, ჩვენ მივმართეთ მას მიგ გამოყენების მოქმედ პირთ და წინაპირეულად მოთხოვნის უმთავრესს გმირს—თვით ბნელს.

ხოლო

„ნუ ამხდი ნამუსს!“

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

I

ალაბო ჭამი იყო. წყნარი გრილი ნიაფი კაცის სახეს ტუბილად ეაღვრებოდა.—ჰაერში შემოღვამის სინოყურის სუნი იფანტოდა.—სოფ. ბ—ის დღუქნის წინ შეყრილიყო რამოდენიმე გლეხ-კაცი და რალაცხე ჰქონდათ ბასი.—იმითში ამ სოფლის მამასხლისც ეტარა.

—ჯერაც არ მოთრეულა!.. ნეტავი გვიკეთებდეს რაქმს!—ჰთქვა ერთმა ბერიკაცმა, რომელსაც უკმაყოფილობა ეტყობოდა სახეზე.—მოხებულ ბევრი გვინახავს—განჯობო იმანვე—მაგრამ მაგეთაზა კი ჯერ არ გვინახავს. კაცო, რანაირად გავგეზილა ამ დედაკებზე!.. ერთი სიტყვით—როცა ის აქ არი, ახალგაზნად ქაღებს გარეთ არ გამოცელებათ! აქაო და „ჩინონივი“ ვარო, ხსიობრობას აყენებს მანდილოსნებს!...

—კაცო! ე მაგრე რომ იცი ლაპარაკი, აბა რა დავიშავა? უპასუხა ხრინწიანი ხმით მამასხლისმა.—თავი არ მოგება და ბოლო! შენ რა, რომ ის ნინიანთ ქვირეს ვარსიყება? მაგრამ თქვენ რომ მოხვლეს პტირეცემა არ იციო, არა და არა! უკანასკნელი წინადადება მამასხლისმა ისეთი კილოთი ჰთქვა, თითქო უსაყვედურებდა—მეც მოხებულ ვარ და ჯეროცან ყურადღებას კი არ მაქცევითო.

—ახლა მოხებულ რაა—ჩვენი კოდეზი უნდა

მივგვაროდ?! გამოელაპარაკა მამასხლისს ისეე პირველი გლეხ-კაცი. იმაზე მიწუხს, ძმაე, გული, რომ იმ დღესაც ნინიანთ ქვირემა კინაღამ თვალები დაითხარა ტრილით.—მეცალვება ი ცოდნეშილი! მეც კაცი ვარ და ხმას ვივებ! ობოლომ პატრონია! ასე მამაშიჩვლა: დღე ერთია და იერიში კი ათასიო, თვე მოვიკლამო! ღმერთი აღარ არის?! ცაცები არა ვართ? ქულები აღარა ვეხურავს? ვაი, პატრონებეაჲ! სადა ხარ ძველი გული, ერთობა, რომ ქვირეულ უზრუნველი იყოს, ობოლიც, გლახაც!...—ეცხება ბრებული ამბობდა მოსაუბრე.—აბა, შეილოხან, ღმერთიც იმიტომ გვეჯგის, რომ კაცის გლახა არ ეკითო! ნაღლიანად დაამთავრა თავის სიტყვა მოსარჩლე ბერიკაცმა და შეწუხებით გაქენა თავი.

—ზო და ჰო, მამასხლისო, ღმერთმანი, ბეროა მართლს ამბობს! ძალიან უკლდ გულით უშურებს ხოლმე ე პრიტაიცი“ თავის ქრელი თვალბით ჩვენი სოფლის გოგოებს!... დაუქრა კვერი ბეოუს მეორე გლეხმა.

—თქვენ რაც გინდათ ილაპარაკეთ და უნდა დაუხვდეთ თი, საცაა მოვა? ჰთქვა ცივად მამასხლისმა. გზროო! გვიქმ, შენ ვანდას, კიკოლანათას, კი ლინოა აქეთ! ეკებო ერთი ორი ხელად გამოეზუქლას. „პრიტაიცი“ მოღის-თქო და დახვედრა ყველას. ვალია-თქო, მერე შმარიაშვილისაკენ, იენასკენ, ჩამოიარე და ერთი დედლი გამოართვი. თუ არ მოცეკვს, გამოღურე უკარი თავი.—ყველაფერი ჩვენსა მიიტანე და უთხარი ოთახი მოამზადონ!... ჩვენები სხევაგან გაიხიზნან—„პრიტაიცი“ მოღის-თქო, აბა შენ იცი—ყველაყას სარბოტა რიგინად გააღვექე!..

არ შემარცხენია! — მიაძახა მამასახლისმა მიმავლს გზარს.

— მამასახლისო! ღეთის გულისათვის, ეგების როგორმე „პრიტაეს“ ხელი აღებინო მაგ ვაგოზე! ეხვეწებოდა ბერუა. — შენ ძან უყვარხარ მაგ ოჯახ დაქველას — თხროას შეგის რუტების. ძალიან მეკოდება ის თვალ-ნაცრიანი! ცხლახან აქეთეენ რო მოვლილი, გახზე ვადამეობა; შეეცყო — პრისტაეი მოვლილი და მხებეწეწებოდა ჩემი რძალი ნინო გამგზავნა ამაღალ იმასთან. მაგრამ, რა ენა? ჩემს რძალსაც არა სცალიან, მაწოვარია, იმას კიდევ სახლისთვის თავი ვერ დაუწებებია, რომ ჩემსა მოვიდეს!... ბერუას სახეს მჭეფუნებოდა ეტყობოდა.

— კაცო, ხომ არ ვაგიციდი! უთხრა წყენით მამასახლისმა. განა ეგეთი კაცო ჩემი „პრიტაეი“? მაგას როგორ იკადრებს, რომ სახლში შეუღვარდეს. — რა ეცი, შენი კენსადი? როგორც ნინიანთ ქერიცა მითხრა, იმ დღეს აქ რომ ყოფილიყო, აი, მიხიანთ ბიკო რომ მოკლეს, ღამე კარები ერახუნებინა!...

— ტყუის! წამოიძახა არევით მამასახლისმა. — განა საიმიროთ მოველით? ქუჩა-ქუჩა „აბზოდს“ შინჯავდა „პრიტაეი“ იმ დამეს. ნინიანთ ქერიცის სახლიდან სახლის ნიშნი გამომტყუტედა და „პრიტაემ“ დაურახუნა გარედან „რედიხივი“. არც კარები ურახუნებია და არც ხმა გაუცოა. ღმერთო ჩემო! რა ხალხია აქა? რწყილს დაწვეწენ და აქლემს კი აზობინებენ? მართლა და რა ჰგონია ნინიანთ ქერიცის თავისი თავი? მაგითანა ქალები ემსახურებიან ჩვენს „პრიტაეს“. გაათავა ირანული ღმირით მამასახლისმა.

— მამასახლისო! მაგას რათ ბებნე? ნინიანთ ქერიცი პატროსანი ქალია! უბასუხა ბერუამ.

— ეგ, ახლა ნუ მოპყეები და! შე დალოცვილი, ჩვენი პრიტაეი როგორ არა სჯობს იმის ქმარს ნინისა? ხურო და „ჩინიანივი“ ერთია?

— ახლა რა არის რომ ერთი არ არის. ნინია კონიერი ქმარი იყო მაგდანასი და „პრიტაეი“ კი უცნობა. მე კი, ძამე, ხელი დამიბანია და! ისეა ის დედაცი ვაგობრატებულო, რომ არაფის დანიღობს მოსაკლავად! რაც იმის ქმარს იარაღი ჰქონია — სულ ზეზე აქვს. ხანჯალი ბალიშ ქვეშ უძევს!..

— კაცო, რომ იმუქრები, ვის ემუქრები? არ იცი ვინე ლაპარაკობ, ხო არ გინდა — ხვალეც ციხეში გიკრას თავი? რა შენი საქმეა მაგეგზე ლაპარაკი? შეუტედა ვაჯვარებით ბერუას მამასახლისმა, რომელმაც მწუხარებით გულზე ხელი დაიკრა და თავი გაიქინა „ვაშვი“-ს ძხილით.

— მამასახლისო, ჰა, მამასახლისო! „პრიტაეი“ მობძანდება! დაუბახეს ქვეიდან ჩვენს სოფლის მოხელეს.

მამასახლისი ჩქარი ტუნძულით გაემგზავრა ქვეითენ. მართლა გახზე გამოჩნდნენ სამი მხედარნი, რომელთა შორის ერთი ზენ მოდიოდა. სწორედ ეს გახლდათ ამ ნაწილის ბოქაული, სავანი ბერუას და მამასახლისის ლაპარაკისა.

II.

ბოქაული ბრიკოვი დიდი ხანი არ იყო, რაც

დენიშნათ ამ ნაწილში, მაგრამ მისი პროცენტები უკვე კარგად ჰქონდათ გაცნობილი სოფლის მკვიდრთ. იკოდენ, რომ იგი დიდი ტრფილია შეწეიერი სქესისა და არაერთარს ღონისძიებს არ დაერიდება, რათა შესირულოს თავისი მხეცური წაღილი. რასაც ირეგებოდა, ქარიველ გულზე-ჯაკობს ამგვარი საქციელი არ მოსწონდა, რადგანაც, ვარჯჯობით, მისი ხნობა აურე რიგად არ შეზღალოდა, მხოლოდ ამ მდგომარეობამდისაც ადლოდა მიალწებს, თუ უფროსებთ მას ბრეკოვისთანა მახინჯის ბუნების და ხნობა შელახული კაცნი ეყოლებათ. იმდენად იყო განთქმული ბოქაულის სახელი, რომ იმის ვაგონებზე ახალგაზნდა ქალები მორცხნად თავს იხრიდნენ, მოხუცი მანდილოსანი წყვეა-კრულთა უგზავნიდნენ „პაქუა პრისტაეს“ როგორც ისინი ეძახდნენ, მამა-კაცნი კი მუქარით იხსენიებდნენ.

ასეთი გახლდათ ბოქაული, რომელზედაც იყო ლაპარაკი და რომელიც მიზატიკა მამასახლისმა, იმის თაყუანის მცემელმა და ყურ-მოპრიტომაც ყმამ. არც მამასახლისი იყო წინდა წყლისა. იმასაც მიუძღოდა დანამული თვისის სინიღისი „წინაშე და თამადა შეიძლება ითქვას, რომ ციმიბრში მან საუკეთესო ადგილი დაიმსახურა, მაგრამ ასეა ბედის ჩარხის ტრიალი! რაკ ერთხელ ვაუღიმა ილაბომა — მას შემდეგ მისი ვარსკლავი ღიადად ბრწყინავდა და შემდეგ მიაც იმედებით ავსებდა. ბ-ნის მოურავს თქვენ რაც გინდათ დასწამეთ და განა ვერ წარადგინა იგი ამას წინდა ბოქაულმა მელდოზე? მოდი ემლა და ნუ შესრულდენ „პრიტაეს“ დაველით, თუნდა უსინიღისობაც იყოს ის დავალება! მაგრამ მამასახლისის სენიღისისა არ ემინოდა. ისა და სენიღისი მტრები იყვენ ერთმანეთსა. „როგორც ალბანა, ისეთი ჩაღბანა“ — იმ ნათქვამისა და ეს თქმულბზედ გამოპრიტო იყო ბ-ნ ბოქაულზე და მის თანამოაზრე მამასახლისისზე —

შემოდ აღწერილი თვალნათლად გიჩვენებს, რომ ბერუას უტყუარობობა ბოქაულის მკვიდლის შესახებ — სამართლიანი იყო. ერთი ჰიბრი ხომ სამუდამოდ შინა ჰყენდათ, მეორე — უფრო დიდი, უფრო მომეტეტებულო ხარჯის მიხონიერი, გან-და-ხან მოველინებოდა მათ და ერთ ორნორტირალს ასტეხდა ჩოლიმე.

III

— მობძანდი, შენი ჰიბრიმე, მობძანდი! სახლი გამობატოხენ! იწვევდა ბოქაულს მამასახლისი თავისთანა. — ბოქაული გადმოტრანდა ცხენიდან და ჰილიანი ჩაფარს მიუვლო, თითონ კი გაჰყვა მამასახლისს, რომელიც შეუტედა ფიცრულ სუფთა ოთახში.

აქვე არ იქნება ურიგო გადმოცეით სურათი ჩვენის პატივემულის ადმინისტრატორისა. ის იყო 45 — 48 წლის, ძალიან მაღლის ტანისა და ფაშე-გამოვადებული. სახე მსხვილი და კარხალივით დასისხლებული. უწარბ-წამწამო წერილი ჰრელი თვალნი, უსიამოვნოდ გამოხედვებოდნენ მუბლის ქვეშ. უმთავრეს ყურადღებას იტყევდა მისი მოლოურჯ-მოწითლო ცხვირი, შუაში სანაქებოდ ჩაჭყლებული და მთლად მოკალული. ეს ნაკეთი სახისა სრულის

სინამდვილოთ გაჩვენებდათ, რომ მისი პატრონი დაახლოებულ იქნა მავარ სასმელებს; ყველა ეს, ერთად აღებული, ძალიან კუდს შთაბეჭდილებას ახდენდა ცაცხე, ნამეტნავად მაშინ თუ დაუთხოვთ მსხვილ ტუჩებს და გაჯარივით თმა-წყერ-ულეაშს.

— შეიძლება, მამასახლისო, ჩაი მოიტარო? ბოქალშია ქართული იცოდა, რადგანაც კაცისათვის კარგა ხანი მასხურობდა.

— რატო, შენი ჭირიმე, ცხლად მოგართმე! მამასახლისი გაბურუნა განკარგულების მოსახდენად. რამდენსამე წაის შემდეგ ბოქალის მოართვებს ჩაი. იმან აბადლან ამოიღო რომი, ჩაურია ჩაის და ისე მიირთო ხუთი-ქუჩა, რომ თითქმის ერთხელაც არ ამოუსუნეთა. გასაკვირველი იყო, ღმერთმანი; პირი მაინც როგორ არ დაუთოთქა, მაგრამ თქვენც ამა მომიკედეთ—იმას არაუფრო უგარმენია.—ჩაის სმა გათავდა. ბოქალშია ეს სასმელი არ იცხარა. სამი ჭიქა კიდევ ლიტონი რომი მიირთო, პატარა შენაყროთ კიდევ მამასახლისის მიერ მოტანილის დღღადი, ყველით და კვერცხებით—განშაბი კიდევ სხვა უნდა ყუფილიყო.—ჩაის მირთვის შემდეგ ოთახში მარტო მამასახლისი და ბოქალის დარჩენ; რამდენიმე ხანი სიჩუმე ჰსუფეფდა. ბოლოს მამასახლისმა გაბედა ამ მყოფროების დარღვევა.

— გალდებთ ვინმე დაბრუნებულნი?
 — არა, არ არიან! დღეს არ ეიმუშავენ. სხვა საქმე მაქვს და ის საქმე შენ უნდა მოგანო. ამ სიტყვებზე მამასახლისმა ყურები აუჭიკა, თუმცა უცეც მიხვედრილი იყო რაშიაც იქნებოდა ის საქმე.
 — გესმის, მამასახლისო! იმ დღეს ქერებზე რომ გელაპარაკებდი—გახსოვს ის ლაფარაკი? არ შეიძლება აქ დაუხანოთ იმ ქალს? მე ძალიან მოამკონს ის! ლამაზია! შენეირი.

— ვი, თუ არ დაგენებდეს, შენი ჭირიმე! ერთი ჯიუტი ადამიანი! წამოიღულულუა გაუბედავად მამასახლისმა.

— ისე დაუძახოთ, ვითომ მე საქმისთვის მოესულვარ და ის ჩემთან არის დაბარებული. აქ რომ მოვა, მზეც მე ვიცი, დაიყოლები!

— ემ კი შეიძლება, მაგრამ, ვი თუ ამ უღროლო დროს არ წამოვიდეს! მაშინ რა ექნათ?—ეს მოხსენება ბოქალს არ იამა. იმის თვალმდინარე უკმაყოფილების ნაპერწყმით გამოკრთენ; ბოლოს მამასახლისის მიმართ და გადაწყვეტილ უთხარა:

— როგორმე უნდა მოახერხოს! ასე უთხარა, რომ ვითომ მე ხვალ დილაზე ადრე მივიღივარ და საქმე დღეს უნდა გავთავო. თუ მაინც და მაინც თავის ნებით არ წამოვიდეს—ძალით მოიყვანე, ამა, ცკადე, საქმე გააკეთე და სხვა მე ვიცი! ერთს ჯიოლოზე ხომ წარგადინე, მეორესაც მოელოდე! ვიდრე მე „პრისტავად“ ვარ, შენი გამოცემა არავის შეუძლიან. ის წყელი გოგო ძალიან ჩამივარდა გულში!... ბერი ლამაზი მინახავს, მაგრამ ის სულ სხვაა. უნდა უჩეჩივად დავიანლოგი! Я не преминю добьюсь своего!—ის სიტყვები ბოქალშია თავისთვის წარმოსთქვა და ჩაფიქრა.

მამასახლისი ამ დროს გამოვიდა და რაღაც ჩუჩილი დაიწყო გზირებთან.

— ჩას აშობო, მამასახლისო! იმას ცხლა აქ რა

მოიყვანს?! არ იცი იმის ხასიათი? ჰოქვა ერთმა გზირთავანმა.

— მაინც წადი! პრისტუი გიბარებს-თქო! ჯერ შენ სცადე და მზეც მე წავალ. ერთ-ერთი გზირი ქუჩაში გვიდა. მამასახლისი კი ბოქალს ეახლა, მოწიწებით კარებთან აბრუნა და ხანჯალზე დაებჯინა.

— გაგზავნე? მოისმა ბოქალის ხმა.
 — დაღ, ბატონო! ჩამოვარდა ისეც სიჩუმე.
 — რომ არ მოვიდეს? ეს სიტყვები ბოქალშია

იმწიარად წარმოთქვა, თითქოს მამასახლისის აფრთხილებდა, მაშინ ვაი შეგანო.

— მე ვიხალბები, შენი ჭირიმე! შენ მხოლოდ ერთი ქალღლი დამიწერე—ცეტყვი „პრისტუი“ გიბარებს, ქალღლი უნდა ჩავაბარო-მეთქი აპყურობისა. მაქდანამ, ბატონო, თუ თქვენც მოგვხსენებთ, ქალღლი მიართო, „სულს“ აპყურად ჩემის ობლის მგეე დამნიშენთო. იქნება ამ ქალღლის ძალიან გამოაწიერებას აქეთენ. ამას გარდა—ერთი ღერსც მინდებინარო. მაგდანას მეზობლად ჩემი ნაწრები ბებერია; ის დაყაბულდება და გამოაყვება იმ გოგოს. იმასთან, მე გონია, არ იუცხოვებს მაქდანა. ის რო ოთახში შემოვანა—ბებერი გაიპარება. მაშინ თქვენ იცით და იმან!... ამ სიტყვას მამასახლისი ისეთი გველური ცბიერებით ამოძბდა, რომ მისმა მოსაზრებამ ბოქალის აღტაცებაში მოიყვანა და გაბარებულმა წამოიძახა:

— პი, ყოჩაღ! ხო გუებნები—ჭკვიანი ხარ-მეთქი!... იცოდე—ღლი საჩუქარი მოგვლისი!.

— ამა, რა მიბძანებთ, შენი ჭირიმე! საჩუქარი კი არა! მე თქვენი მონა ვახლავარ და მოველ ვარ ყველაფერი შევასრულო, რასაც მიბძანებთ.—მოუქონა თავი მამასახლისმა, —რომელიც ძალიან კმაყოფილი დარჩა თავისი მოგონებით და ბოქალის დაპირებით...

ილ. ელფორტი

(შემაგრა ქუჩა)

რედაქტორს გამოემგეული ან. თ.-წერეთლის.

დავსრულები საზოგადოება

ო ა ტ კ ო რ ი (ღუხა)

უმაღლესად დამტკიცებულ 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაწლებვა სიცოცხლის განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევითთვის ბოიკა შრომა აღარ შეეძლებათ. დაწლებულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოვებაში. მიიღება ყოველწლიური მოძარევისა და უძრავის ქონების დაწლებვა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-მიღარით და სხეულთი წასალ-წამოსალების საქონლის დაწლებვა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგებანაში, რომელიც დადგენილია კაცისის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუზნელის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების ადვრტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზაერეისაგან, რომელიც დაესვენლიანობის ქუჩაზე № 2.